დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლელა ჯაში**

წევრები:

ნატო ოგანეზოვი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
მზევინარი დარბაისელი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
მაია მაძღარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
თემური კურცხალია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
როლანდ ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ლიანა კობესაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239867872

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი სენაკი
იურიდიული მისამართი	რუსთაველის ქუჩა N255
ფაქტობრივი მისამართი	რუსთაველის ქუჩა N255
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://kartul-evropuli.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kartulevropuliskola@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(+995) 555678181

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება

	MES 3230001191191, 19.09.2023წ. - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისადა სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1-ში ვიზიტის შესახებ“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19 და 20 ოქტომბერი, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქუჩა N255
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქუჩა N255

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქუჩა N255

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სპს - სენაკის ქართულ-ევროპულ სკოლა N1 - ში ვიზიტის განხორციელებამდე, ექსპერტებმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეადგინეს დღის წესრიგი, ასევე, როგორც ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, ისე, საგნობრივმა ექსპერტებმა სკოლიდან მოითხოვეს დამატებითი დოკუმეტაციის გამოგზავნა, რომელიც საჭირო იყო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასების პროცესში სრული სურათის შექმნისთვის. თუმცა, ექსპერტებს აღნიშნული დოკუმენტაცია არ გადმოეგზავნა, რამაც გარკვეული გამოწვევების წინაშე დააყენა ისინი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა და ფიზიკური გარემო. შედგა გასაუბრება პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
140	119	160

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 160	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლის არსებული ინფრასტრუქტურა არ იძლევა დაწესებულების შენობაში 140 მოსწავლეზე მეტი მოსწავლის განთავსების საშუალებას - ვიზიტის დროს, ექსპერტებმა საკლასო ოთახებში ზემოთ აღნიშნული რაოდენობის (140) მერხი და სკამი აღრიცხეს.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მეორე სტანდარტი - სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
ინდიკატორი		•
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვიის და ღირებულებების შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.12.2023წწ.).***
ინდიკატორი 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვიის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.12.2023წწ.).***
ინდიკატორი 1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვიის და ღირებულებების საჯაროობა*

		დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.12.2023წწ.).
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ღირებულებების განსაზღვრა/შემუშავება, ასევ სტარტეგიული გეგმის ფორმატის ცვლილება.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.12.2023წწ.).*
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნებ სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესაბამისობაში მოყვანა სტრატეგიულ გეგმასთან.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.12.2023წწ.).*

ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში შესრულების ინდიკატორებისა და საჭირო რესურსების განსაზღვრა* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.12.2023წწ.).***
ინდიკატორი 1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების დ სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიულ* *განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-30.11.2023წწ.).***
ინდიკატორი 1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიულ* *განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების დადგენა/კვლევა , ასევე, შესრულების შედეგების საჯაროობა* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით***

		განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-30.11.2023წწ.).
ინდიკატორი 1.2.2.4	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიულ განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების დადგენა/კვლევა, ასევე, შესრულების შედეგების სკოლის განვითარებისთვის გამოყენება* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-30.11.2023წწ.).*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსების შერჩევისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა, ასევე. სკოლის გარკვეულმა თანამშრომლებმა წარმოადგინონ კანონმდებლობით დადგენილ ცნობები.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით*

		განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.11. 2023-30.01.2024წწ.).
ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი სტატუსის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე მასწავლებლების დასაქმება დაწესებულებაში* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.11. 2023-01.03.2024წწ.).***
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის წესის შეთანხმება;* *ასევე, სათვალთვალო კამერების გამოსახულებაზე წდომა ბრძანებით განსაზღვრული სუბიექტისთვის.* *ასევე, შესაბამის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება;* *და შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება;* *სამედიცინო კაბინეტის კანონმდებლობის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა;*

		შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (23.10. 2023-27.01.2024წწ.).***
ინდიკატორი 3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	*სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-30.11.2023წწ.).***
ინდიკატორი 3.4.1.7	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების აღნიშნული მექანიზმებ გაუმჯობესებისთვის გამოყენება* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ***

		ვადებში განხორციელება (25.10. 2023-15.01.2024წწ.).
ინდიკატორი 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შენობის ფართის სარგებლობის უფლების დადასტურების უზრუნველყოფა დადგენილი ვადით, ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა, გამიჯნული სველი წერტილის მოწყობის უზრუნველყოფა, ლაბორატორიაში გამწოვის და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის მოწყობა ცდების ჩასატარებლად.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.03.2024წწ.).***
ინდიკატორი 3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-***

		25.03.2024წწ.).
ინდიკატორი 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლი სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსწავლეთა სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საერთ სივრცეების მოწყობა - სკოლის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.03.2024წწ.).***
ინდიკატორი 3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრულ საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	*დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმით განსაზღვრულ საჭირო რესურსებზე სასკოლო საზოგადოების წვდომ უზრუნველყოფა.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (23.10. 2023-27.12.2023წწ.).***
ინდიკატორი 3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს	*დაწესებულებამ უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა -*

	ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	*ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვის მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართვა.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.01.2024წწ.).***
ინდიკატორი 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.	*დაწესებულებამ უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის განთავსება შესაბამის სივრცეში სასკოლო საზოგადოებისთვის წვდომის მიზნით.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-25.01.2024წწ.).***
ინდიკატორი 3.6.2.2	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვი ელექტრონული სისტემა;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მართვაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით***

		განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (27.11. 2023-27.01.2024წწ.).
ინდიკატორი 3.6.2.3	სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში	*დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის პროფილისა და მონაცემების განახლება და სრულყოფა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (27.11. 2023-27.12.2023წწ.).*
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (27.11. 2023-25.12.2023წწ.).*

	შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N4.1.2.2.	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩარიცხვის დროს სკოლის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის ჩამონათვალის განსაზღვრა; სკოლის მიერ წარმოებულ დოკუმენტებში მართებული ინფორმაციის ასახვა.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.10. 2023-30.11.2023წწ.).***
ინდიკატორი N4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსწავლეებისათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეთავაზება* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (27.11. 2023-01.12.2023წწ.).***

ინდიკატორი N4.2.2.2	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსწავლეების/მათი კანონიერ წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (27.11. 2023-0112.2023წწ.).***
ინდიკატორი N4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	*სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება და გაწეული მომსახურების შეფასება მშობლების/კანონიერ წარმომადგენლების და/ან მოსწავლეთა მხრიდან.* ***დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (27.11. 2023-***

		01.12.2023წწ.).

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;*	*სასურველია სკოლის მისია არ იყოს ზოგადი შინაარსის და მასში არ იყოს ფორმულირებული ის საკითხები, რაც ისედაც, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულებას წარმოადგენს. სკოლის მისიაში და ხედვაში უნდა ჩანდეს სკოლის ინდივიდუალიზმი, სკოლის გამოკვეთილი, ძლიერი მხარეები და მიზნები.*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში*	*რეკომენდირებულია, რომ სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი*

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.2	*სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი, სადაც გაწერილი იქნება მობილობის საფუძველზე, ან, სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების შემთხვევაში, რა კონკრეტული ნაბიჯების განხორციელებაა მიზანშეწონილი*
ინდიკატორი 4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიურ მიღწევების გასაუმჯობესებლად;*	*მიზანშეწონილია, სკოლას განსაზღვრული (გაწერილი) ჰქონდეს მოსწავლის აკადემიურ მხარდაჭერის მექანიზმი.*
ინდიკატორი 4.2.1.4	*სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;*	*სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეთა/მშობელთა ინფორმირებულობა (ვებ. გვერდის, ან სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით) სხვადასხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით*
ინდიკატორი 4.2.1.6	*მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.*	*მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშავოს კითხვარები ან/და უკუკავშირის სხვა საშუალებები, რითაც მოიპოვეს ინფორმაციას მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის შესახებ*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი**	*რჩევა*

	(დაწყებითი საფეხური)	
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დააზუსტონ რ ფორმით ჩართავენ მშობლებს სასწავლო პროცესში. (მაგ.,კურიკულუმს სკოლის საიტზ ატვირთავენ ან/და ელექტრონული ჟურნალი გააზიარებენ ან/და კომპლექსური დავალების გარათებს გააგზავნიან და სხვა)*
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს დაგეგმვის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის მექანიზმები.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, გადამუშავოს და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანოს რუსული ენის კურიკულუმები (კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რესურსები).*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადი მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები (შედეგები);*	*სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შედგენის დროს თემაში დაამუშავონ ყველა სამიზნე ცნება, მიუთითონ კონკრეტული კონტექსტ-მაგალითები, სწორად განსაზღვრონ კომპლექსური დავალების იდეა და შეავსონ*

		ცხრილი სრულად. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (ბ უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს თემატურ ბლოკებისა და თემების შესაბამისობაში მოყვა (ხელოვნება) კურიკულუმის შედგენის დროს მიუთითონ სახელმძღვანელოები და საჭირო რესურსები და კურიკულუმში ასახოს კონკრეტული კონტექსტ მაგალითები.(მუსიკა*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (ბ უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*ბუნებისმეტყველებაში კურიკულუმის ჩარჩოს შედგენისას ერთმანეთისგან გამიჯნონ საკითხების ჩამონათვალი და კომპლექსური დავალების კონტექსტმაგალითი, ასევე იდეა. ასევე არ გადმოიწერონ სახელმძღვანელოდან პარაგრაფების ჩამონათვალი და გამოყონ კლასტერები და ძირითადი საკითხები.*
ინდიკატორი 2.1.2.4	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სკოლას მიეცა რჩევა, საზოგადოებრივ მეცნიერებებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს იხელმძღვანელოს საგნობრივი სტანდარტებით, რათა გამოიყენო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორები კრიტერიუმებად გარდასაქმნელად.*
ინდიკატორი 2.1.2.5	*დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი;*	*სკოლას მიეცა რჩევა, მშობლებთან კომუნიკაციას მიეცეს ორგანიზებული ხასიათ*

		მათი მოსაზრებების სისტემატიზაციის და ანალიზის საფუძველზე მოხდეს მშობლების ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში (ზუნებისმეტყველება)
ინდიკატორი 2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*სკოლას მიცა რჩევა, განახორციელოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზ და გამოკვეთოს თუ რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას დაგეგმილი და განხორციელებულ აქტივობები. (მათემატიკა)*
ინდიკატორი 2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*სკოლას მიეცა რჩევა, გამოკვეთონ კავშირი საგნობრივ საკითხებს, ქვეცნებებსა და ცნებებს შორის. (ზუნებისმეტყველება)*
ინდიკატორი 2.3.1.1	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;*	*სკოლას მიეცა რჩევა, მეტად გაამახვილონ ყურადღება განმავითარებელ კომენტარზე, რომელიც განისაზღვრება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში ჩამოყალიბებული მოლოდინების მიხედვით; რომელიც შეიცავს აღწერას, მოსწავლის მიღწევას და რჩევას. (ზუნებისმეტყველება)*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*

ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დააზუსტონ რ ფორმით ჩართავენ მშობლებს სასწავლო პროცესში. (მაგ.,კურიკულუმს სკოლის საიტზე ატვირთავენ ან/და ელექტრონული ჟურნალი გააზიარებენ ან/და კომპლექსური დავალების ბარათებს გააგზავნიან და სხვა)*
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს დაგეგმვის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის მექანიზმები.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, იხელმძღვანელოს Math.ge სკოლის ავტორიზაციისათვის დამხმარე მასალებით და კურიკულუმში წარმოდგნილი ცნებები და ქვეცნებები, რომლ ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით არის განსაზღვრული ჩაანაცვლოს Math.ge ზე მოცმული განახლებული ვერსიით.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*სკოლას მიეცა რჩევა,აკადემიური საათების გათვალისწინებით განსაზღვრონ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.(ესთეტიკური აღზრდა)*

ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სკოლას მიეცა რჩევა, სამიზნე ცნებების განსაზღვრისას იხელმძღვანელოს math.ge -ით*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სკოლას მიეცა რჩევა, მოახდინონ VII-VIII კლასებში შემუშავებული განსხვავებული კურიკულუმების გაერთიანება და შეიმუშავონ საბოლოო ვარიანტი. ასევე, VII და VIII კლასების კურიკულუმებში შეავსონ კონტექსტ მაგალითის, კომპლექსური დავალების იდეის და შედარებისათვის მაგალითის გრაფები. (ესთეტიკური აღზრდა)*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადია მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*ბუნებისმეტყველებაში კურიკულუმის ჩარჩოს შედგენისას ერთმანეთისგან გამიჯნონ საკითხების ჩამონათვალი და კომპლექსური დავალების კონტექსტმაგალითი, ასევე იდეა. ასევე არ გადმოიწერონ სახელმძღვანელოდან პარაგრაფების ჩამონათვალი და გამოყონ კლასტერები და ძირითადი საკითხები.*
ინდიკატორი 2.1.2.5	*დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი;*	*სკოლას მიეცა რჩევა, მშობლებთან კომუნიკაციას მიეცეს ორგანიზებული ხასიათ*

		მათი მოსაზრებების სისტემატიზაციის და ანალიზის საფუძველზე მოხდეს მშობლების ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში (ზუნებისმეტყველება)
ინდიკატორი 2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*სკოლას მიცა რჩევა, განახორციელოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზ და გამოკვეთოს თუ რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას დაგეგმილი და განხორციელებულ აქტივობები. (მათემატიკა)*
ინდიკატორი 2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*სკოლას მიეცა რჩევა, გამოკვეთონ კავშირი საგნობრივ საკითხებს, ქვეცნებებსა და ცნებებს შორის. (ზუნებისმეტყველება)*
ინდიკატორი 2.3.1.1	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;*	*სკოლას მიეცა რჩევა, მეტად გაამახვილონ ყურადღება განმავითარებელ კომენტარზე, რომელიც განისაზღვრება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში ჩამოყალიბებული მოლოდინების მიხედვით; რომელიც შეიცავს აღწერას, მოსწავლის მიღწევას და რჩევას. (ზუნებისმეტყველება)*

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი***	***რჩევა***

	(საშუალო საფეხური)	
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დააზუსტონ რ ფორმით ჩართავენ მშობლებს სასწავლო პროცესში. (მაგ.,კურიკულუმს სკოლის საიტზ ატვირთავენ ან/და ელექტრონული ჟურნალი გააზიარებენ ან/და კომპლექსური დავალების გარათებს გააგზავნიან და სხვა)*
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს დაგეგმვის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის მექანიზმები.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, გადამუშავოს და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანოს რუსული ენის კურიკულუმები (კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რესურსები).*
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, იხელმძღვანელოს Math.ge სკოლის ავტორიზაციისათვის დამხმარე მასალებით და კურიკულუმში წარმოდგნილი ცნებები და ქვეცნებები, რომლ ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით არის*

		განსაზღვრული ჩაანაცვლოს Math.ge ზე მოცმული განახლებული ვერსიით.
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სკოლას მიეცა რჩევა, სრულად შეავსოს კურიკულუმის ჩარჩო და კომპლექსური დავალების პირობა ასახოს შესაბამის ველში. (ესთეტიკური აღზრდა)*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სკოლას მიეცა რჩევა, სამიზნე ცნებების განსაზღვრისას იხელმძღვანელოს math.ge -ით*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადია მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*ბუნებისმეტყველებაში კურიკულუმის ჩარჩოს შედგენისას ერთმანეთისგან გამიჯნონ საკითხების ჩამონათვალი და კომპლექსური დავალების კონტექსტმაგალითი, ასევე იდეა. ასევე არ გადმოიწერონ სახელმძღვანელოდან პარაგრაფების ჩამონათვალი და გამოყონ კლასტერები და ძირითადი საკითხები.*
ინდიკატორი 2.1.2.5	*დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი;*	*სკოლას მიეცა რჩევა, მშობლებთან კომუნიკაციას მიეცეს ორგანიზებული ხასიათ მათი მოსაზრებების სისტემატიზაციის და*

		ანალიზის საფუძველზე მოხდეს მშობლების ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში (ბუნებისმეტყველება)
ინდიკატორი 2.2.1.1	*სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;*	*სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზ და გამოკვეთოს თუ რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას დაგეგმილი და განხორციელებულ აქტივობები. (მათემატიკა)*
ინდიკატორი 2.2.2.1	*სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;*	*სკოლას მიეცა რჩევა, გამოკვეთონ კავშირი საგნობრივ საკითხებს, ქვეცნებებსა და ცნებებს შორის. (ბუნებისმეტყველება)*
ინდიკატორი 2.3.1.1	*მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;*	*სკოლას მიეცა რჩევა, მეტად გაამახვილონ ყურადღება განმავითარებელ კომენტარზე, რომელიც განისაზღვრება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში ჩამოყალიბებული მოლოდინების მიხედვით; რომელიც შეიცავს აღწერას, მოსწავლის მიღწევას და რჩევას. (ბუნებისმეტყველება)*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

• რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი,,, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

• გარკვეული ინდიკატორები - შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო - და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლის N1 (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების მიზნებს. კერძოდ, სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეს შეუქმნას ყველა პირობა იმისთვის, რომ მან მიიღოს ხარისხიანი განათლება საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა გარკვეული რეკომენდაციებით (რჩევა) მიმართეს დაწესებულებას სკოლის ფილოსოფიის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლის მისია ძალიან ზოგადია და მასში ფორმულირებულია/აქცენტირებულის ის საკითხები, რაც ისედაც, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულებას წარმოადგენს („უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა“, „ ხარისხიანი განათლების მიღების გარანტია“ და ა.შ.). სკოლის ხედვაც, სკოლის განვითარების პერსპექტივას იგივე კუთხით წარმოაჩენს, რასაც მისია („სკოლაში შეიქმნას ისეთი სასკოლო გარემო, რომელიც ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს მისცემს თვითრეალიზების საშუალებას“) და არ ჩანს თუ რა მიღწევები ექნებათ სკოლის მოსწავლეებს უახლოესი წლების განმავლობაში. არც სკოლის მისიაში და არც ხედვაში არ ჩანს სკოლის ინდივიდუალიზმი, სკოლის გამოკვეთილი, ძლიერი მხარეები და მიზნები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღნიშნა, სკოლის მისია და ხედვა შედგენილია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბერი №84 დადგენილებით „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ და შესაბამისად, დაწესებულება მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლის მისია, ხედვა არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (სკოლის დირექტორის ბრძანება 45, 11.09.2023წ), **ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ სკოლის ფილოსოფიის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პოზიცია და შეხედულებები.** ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 11.09.2023წ., სადაც ერთ-ერთი საკითხს წარმოადგენდა ცვლილების შეტანა სკოლის მისიაში, თუმცა, სკოლის პირველად დოკუმენტაციაში არსებული მისია და მოქმედ სასკოლო-სასწავლო გეგმაში არსებული მისია იდენტური აღმოჩნდა. **გარდა ამისა, სკოლას არ აქვს შემუშავებული ღირებულებები, რაც საშუალებას მისცემდა სასკოლო საზოგადოებას ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით, ყოველდღიური საქმიანობისას ეხელმძღვანელა გარკვეული სამუშაო პრინციპებით და მიდგომებით. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-**

25.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

4. სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მიუთითებს, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გადახედვა სასკოლო საზოგადოების უშუალო ჩართულობით (თვითშეფასების დოკუმენტის შევსების თარიღი: 18.07.2023წ.). თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სკოლამ ფილოსოფიის ნაწილში ცვლილებები არ განახორციელა, **ასევე, არ შეიმუშავა ღირებულებები. შესაბამისად, არ დასტურდება, რომ სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ფილოსოფიაში ასახულია მათი პოზიცია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით და/ან შეხედულებები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-25.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის.**

5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კერძოდ, გამოკრულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე, წარმოდგენილია დაწესებულების ვებ. გვერდზე. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, **სკოლას არ აქვს გაცხადებული სასკოლო საზოგადოებისთვის თუ რა ღირებულებების მატარებელია დაწესებულება** და შესაბამისად, სკოლა მოსწავლეს აკადემიური ცოდნის გარდა, რა ღირებულებათა სისტემას განუვითარებს. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-25.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობა.**

6. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან. კერძოდ, 2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ NB23093095/6, რომლის საფუძველზე სკოლის სამართლებრივ ფორმად განისაზღვრა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო სახელწოდებად,, სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N 1 ,, ექსპერტები დაინტერესდნენ, რამ განაპირობა სკოლის სახელის ცვლილება (მანდამდე, სკოლა ფუნქციონირებდა, როგორც ,,სპს - საერო სკოლა მაია მზარელუა,,). როგორც სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განსაზღვრულმა პასუხისმგებელმა პირმა აღნიშნა, სკოლა შემდგომში გეგმავს უცხოური, ევროპული ენების შეთავაზებას მოსწავლეებისათვის და ამიტომ განახორციელა სკოლის სახელის ცვლილება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 11.09.2023წ.
- ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება 45, 11.09.2023წ);
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც უკვე აღინიშნა, ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N45, 11.09.2023წ. თუმცა, სკოლის მისიის და ხედვის შემუშავება განხორციელდა მანამდე. სკოლას არ უხელმძღვანელია აღნიშნული წესით. ექსპერტები დეტალურად გაეცნენ დოკუმენტს და დაადგინეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა იხელმძღვანელებს ზემოაღნიშნული რეგულაციით, დაწესებულება უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინებას. მაგალითად, ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია როგორ ხდება სამუშაო ჯგუფის ფორმირება, მე-10 თავი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2023-2030 წწ. პერიოდს. ვინაიდან სკოლის ფილოსოფიის ნაწილი (მისია და ხედვა) ზოგად ხასიათს ატარებს და მასში დეკლარირებულია ის მიზნები, რაც ისედაც, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულებაა, ექსპერტებმა დაადგინეს კორელაცია სკოლის მისიასა და ხედვასა და სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს შორის, **თუმცა, ვინაიდან, სკოლას არ აქვს განსაზღვრული რა ღირებულებებზე არის დაფუძნებული დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები** ექსპერტებმა აღნიშნული ინდიკატორი დადებითად ვერ შეაფასეს. **გარდა ამისა, სტრატეგიული გეგმის ფორმატიც არ წარმოაჩენს სტრატეგიულ მიმართულებებს, რომლებიც აქტივობების დონეზე განსაზღვრავს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს და საჭიროა მისი კორექტირება. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-25.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ღირებულებების შემუშავება/განსაზღვრა და სტრატეგიული გეგმის ფორმატის კორექტირება.**
3. სპს - სენაკის ქართულ-ევროპული სკოლის N1 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 10 სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. ექსპერტებმა განიხილეს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმები. როგორც აღმოჩნდა, **ზემოაღნიშნული დოკუმენტების შინაარსი, გარკვეულ ნაწილში, წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. კერძოდ, სტრატეგიულ გეგმაში მითითებულია, რომ მოსწავლეთა საჭიროებების კვლევას დაიწყება 2025 წლიდან, თუმცა, ერთწლიანი გეგმის თანახმად, რომ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა**

მიმდინარეობს 23-24 წელს, მთელი წლის განმავლობაში. ანალოგიური სიტუაციაა პედაგოგების საჭიროებების დადგენასთან დაკავშირებით. 7 წლიანში აღნიშნულია, რომ 2025-2026 სასწავლო წელს არის დაგეგმილი აღნიშნული, თუმცა, ერთწლიან გეგმაში განხორციელების ვადად მიმდინარე წელია დაფიქსირებული. ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის სტრატეგიულ და ერთწლიან გეგმებს შორის სრული კორელაცია არ არსებობს. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება ყოველწლიურ თვითშეფასებასთან სკოლის ერთწლიანი გეგმის კავშირი. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-25.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო ეგგმის შესაბამისობაში მოყვანა სტრატეგიულ გეგმასთან.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, **სამოქმედო გეგმაში სრულად არ არის განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები,** ასევე, მას არ აქვს შესაბამისი ფორმატი. კერძოდ, **დაწესებულებას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ აქვს მითითებული შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-25.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაში შესრულების ინდიკატორებისა და საჭირო რესურსების განსაზღვრა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება 45, 11.09.2023წ);
- 2023-2030 წწ. სტრატეგიული განვითარებისა გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დირექტორის N45, 11.09.2023წ. დამტკიცებული აქვს ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია", რომლის მე-12 თავი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებებს. როგორც ირკვევა, სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები კი წარმოაჩენს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. **სკოლა არ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.** დაწესებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების და მონიტორინგის მექანიზმები მკაფიოდ აქვს გაწერილი, თუმცა, ზემოაღნიშნული პროცესების განხორციელების დამადასტურებელი მასალა ექსპერტებისათვის არ იქნა წარმოდგენილი - ვინაიდან ზემოაღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია მიმდინარე წლის 11 სექტემბერს, დაწესებულება ვერც იხელმძღვანელებდა 2022-2023 სამოქმედო გეგმის და წინა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასებისას. თვითშეფასების დოკუმენტში დაწესებულებას მითითებული აქვს, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავს დახვეწოს და განავითაროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, აქციოს საჯარო და გაზიარებულ დოკუმენტად. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.2.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-30.11.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასების უზრუნველყოფა.**
3. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები, შესაბამისად, არც მათი საჯაროობაა უზრუნველყოფილი** (არ არის გამოქვეყნებული ვებ. გვერდზე ან, სხვა სივრცეში). **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.2.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-30.11.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასების უზრუნველყოფა.**
4. ვიზიტის პერიოდში შესწავლილი დოკუმენტაციის, ასევე, სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე **არ დასტურდება,** რომ **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი**

განვითარებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-30.11.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების დადგენა/კვლევა. ასევე, შესრულების შედეგების სკოლის განვითარებისათვის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება 45, 11.09.2023წ);
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სპს ,,სენაკის ქართულ-ევროპული სკოლის N1,, სტრუქტურა წარმოდგენილია სქემატური სახით და მკაფიო განსაზღვრავს დაქვემდებარების იერარქიას. კერძოდ, სკოლას ჰყავს დირექტორის მოადგილე, რომლის საკურატორი სფეროს წარმოადგენენ საგნობრივი კათედრები. სკოლის ფინანსური მენეჯერი, საქმისწარმოების მენეჯერი, კომპიუტერული მომსახურების ოპერატორი, სამედიცინო პერსონალი, ბიბლიოთეკის გამგე და დარაჯი. სკოლას შედგენილი აქვს სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობები, მათ შორის: კათედრის დებულება, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. ასევე, დარაჯის, გახანგრძლივებული დღის აღმზრდელის, დამლაგებლის, კომპიუტერული მომსახურების ოპერატორის, ბიბლიოთეკარის სამუშაო აღწერილობა. **თუმცა, დაწესებულებას არ წარმოუდგენია სკოლის დირექტორის მოადგილის, ფინანსური მენეჯერის და საქმისმწარმოებლის ფუნქცია მოვალეობები. გარდა ამისა, სკოლის საშტატო განრიგში და სტრუქტურაში თანამდებობების დასახელება არ შეესაბამება ერთმანეთს. მაგალითად, სკოლის საშტატოში მითითებულია - ბუღალტერი და საქმისმწარმოებელი, ხოლო სტრუქტურაში - ფინანსური მენეჯერი და საქმისწარმოების მენეჯერი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო სკოლის დირექტორის მოადგილის, ფინანსური მენეჯერის და საქმისმწარმოებლის ფუნქცია მოვალეობების განსაზღვრა, ასევე, სკოლის საშტატო განრიგში და სტრუქტურაში თანამდებობების დასახელების შესაბამისობაში მოყვანა (23.10.2023-25.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 3.1.1.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი“.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში დასაქმებული **ყველა თანამშრომლის (გარდა პედაგოგებისა) ფუნქცია მოვალეობები არ არის შედგენილი. გარდა ამისა, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებიც არ განსაზღვრავს მათ ვალდებულებებს. შესაბამისად, ვერ დგინდება, რამდენად ეფექტურია დაწესებულებაში დამკვიდრებული ანგარიშვალდებულების სისტემა, როგორ ხორციელდება პროცესების მართვა/კორექტირება დირექციის მხრიდან. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, ასევე, თანამშრომლის ფუნქცია მოვალეობების განსაზღვრა და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფუნქციების გათვალისიწინება (23.10.2023-27.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 3.1.1.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც დამტკიცდა სკოლის დირექტორის N39, 11.09.2023წ. ბრძანებით. ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიზანია დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. გარდა ამისა, სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომლის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს

პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ სამომავლოდ გეგმავს პერსონალის მართვის პოლიტიკის არსებული დოკუმენტის რევიზიას მისი გაუმჯობესების მიზნით, რომელიც დაეხმარება ორგანიზაციას მართოს საკუთარი პერსონალი სამართლიანობისა და აღიარების ღირებულებებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული კადრების მოზიდვის და შერჩევის მექანიზმები, **სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისას არ დასტურდება, რომ სკოლა იცავს ადამიანური რესურსის შერჩევისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებს.** თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ზემოაღნიშნული ბრძანება დათარიღებულია 2023 წლის 11 სექტემბრით, შესაბამისად, მანამდე არ იყო განსაზღვრული პერსონალის შერჩევის პოლიტიკა (სკოლის შინაგანაწესში არსებობდა მწირი ჩანაწერი სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღების შესახებ, თავი N6). **მასწავლებელთა უმეტესობა (26 დან 20) არ არის აყვანილი კონკურსის წესით teacherjobs.ge-დან. მათგან ზოგიერთზე კონკურსი საერთოდ არ გამოცხადებულა, ზოგიერთის შემთხვევაში კი, მასწავლებლის სახლის მიერ უარის თქმის მიუხედავად, მაინც გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება. დარღვევა ფიქსირდება კონკურსის გამოცხადების პროცედურულ ნაწილშიც. კერძოდ, ორ შემთხვევაში, კონკურსის შესახებ ინფორმაცია 1 დღით იყო გამოქვეყნებული. გარდა ამისა, მასწავლებლების პირად საქმეებში, უმეტეს შემთხვევებში, არ იყო წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ასევე, ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ (2020 წლის შემდეგ დასაქმებული თანამშრომლების შემთხვევაში). დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 30.11.2023-30.01.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ადამიანური რესურსების შერჩევისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა, ასევე, იდენტიფიცირებული თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის უზრუნველყოფა.**

4. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლაში დასაქმებული პირების პირადი საქმეები, ასევე, შესაბამისობის დადგენილ მიზნით, დაათვალიერეს esxhool -ის ბაზა, საიდანაც გაირკვა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული პედაგოგებიდან (სულ 26), 3 მაძიებელი, 12 უფროსი და 2 წამყვანი სტატუსის იყო. **9 მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი. მასწავლებელთა პირად საქმეებში, დიპლომის დამოწმებული ასლის ნაცვლად, დიპლომის დედნები იყო წარმოდგენილი.** გარდა ამისა, **რიგ შემთხვევებში, განსხვავებული იყო მასწავლებლის ხელშეკრულებაში მითითებული სტატუსი და დანიშვნის ბრძანებაში არსებულ სტატუსთან. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 30.11.2023-01.03.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - შესაბამისი სტატუსის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლების უზრუნველყოფა.**

4. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლაში დასაქმებული პირების პირადი საქმეები, ასევე, შესაბამისობის

5. როგორც ვიზიტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, სკოლის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია და მუშაობა გუნდურობის პრინციპის დაცვით ხორციელდება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
6. დაწესებულებას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების პროცედურა, რაც გულისხმობს როგორც სკოლის მხრიდან თანამშრომლის ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვებას, ასევე, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (სკოლის დირექტორის ბრძანება N39, 11.09.2023წ.);
- სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- Eschool – ის ბაზა;
- შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს შეფასების ძირითად ასპექტებს. შეფასების შემდგომ ხორციელდება პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, სკოლას შედგენილი აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირს (დირექტორი) და მის მოვალეობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შედგენილი აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პროგრამა, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი პროფესიული განვითარების პროგრამების სახეები. მათ შორისაა, არასამთავრობო ორგანიზაციების ან სახელმწიფო უწყებების მიერ შეთავაზებული სპეციალური კურსები (სემინარები, ტრენინგები), პროექტების შემუშავება, კონფერენციებში მონაწილეობა, კოლეგების გამოცდილების გაზიარება და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. ინტერვიუირების პროცესში პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას, რაც გამოიხატება დაფინანსებით სხვადასხვა ტრენინგ კურსებში, თუ კონფერენციებში მონაწილეობაში. გამოცდილების გაზიარება სკოლის კოლეგებს შორის სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და ხელშეწყობილია დირექციის მხრიდან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
4. სკოლის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის/სოციალიზაციის ეტაპები. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, ასევე, გამართლდეს მისი მოლოდინები და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, გაეცნონ სკოლის დოკუმენტაციას და გარემოს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
5. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. წახალისების მექანიზმები შემდეგია: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვება. შინაგანაწესის მე -17 მუხლი დეტალურად აღწერს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესებს. დაჯილდოვების საფუძვლებს შორისაა - მუშაობაში მოპოვებული წარმატება, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულება, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამა;
- შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილ.ვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. **სკოლას შემუშავებული არ აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,** რომელიც განსაზღვრავდა, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რა შიდა მექანიზმები ხორციელდება დაწესებულებაში, ვინ არის მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.3.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება (23.10.2023-27.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 3.3.1.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

4. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლაში დასაქმებული პირების პირადი საქმეები, ასევე, შესაბამისობის

2. მმართველობითი პროცესებიდან ერთ-ერთი დაწესებულების მხრიდან სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაა, რაც უშუალოდ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დანიშნულებაა და რეგულირდება დებულებით. ძირითადი პროცესები - კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ასევე, მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სკოლაში. დამხმარე პროცესები განხილულ იქნება ქვემოთ (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო მომსახურება, საქმისწარმოება და ა.შ.). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება , N40, 11.09.2023წ.). ზემოაღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აღწერს მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერ უფლებებს და სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმებს, ასევე, სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების ძირითად ასპექტებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4 როგორც უკვე აღინიშნა, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი უზრუნველყოფს კანონიერი უფლებების დაცვას. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები დაინტერესდნენ - ჰქონდა თუ არა ადგილი დაწესებულებაში დისციპლინურ გადაცდომებს, როგორი იყო მათი სტატისტიკა. როგორც აღმოჩნდა, სკოლაში

ბოლო წლების განმავლობაში არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა მოსწავლეთა, მათი მშობლების ან სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვასთან. ამის მიზეზად სასკოლო საზოგადოებამ დაასახელა დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა, პოზიტიური ურთიერთობები მოსწავლეს, მასწავლებელს, სკოლის დირექციასა და მშობლებს შორის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება , N40, 11.09.2023წ.).

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმი ხორციელდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. კერძოდ, როგორც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს მშობელთა უკუკავშირისთვის გამოიყენებს სოციალური ქსელი, კერძოდ, დახურული ჯგუფები, სადაც კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაზიარებას და შესაბამისი უკუკავშირის მიღებას. სკოლას აქვს ვებ. გვერდი. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ასევე, მიმდინარეობს კომუნიკაცია მშობლებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებში და უზრუნველყოფენ მათ მუშაობას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა,

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ გაწერილი ფუნქციები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- საგნობრივი კათედრების დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების საფუძველზე აქვს შედგენილი, **თუმცა არ აქვს შეთანხმებული საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.** ვიდეოსათვალთვალო კამერები ახორციელებენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, **თუმცა, ისინი განთავსებულია სამასწავლებლოში და ყველა პირისთვის ხელმისაწვდომია, რაც არ არის მართებული.** სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს ექთანი **(სკოლამ ვერ წარმოადგინა ექიმის/ექთნის კონკურსის წესით შერჩევის დოკუმენტაცია).** სკოლას შედგენილი აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. **თუმცა, დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა.** ასევე, **დაწესებულებას არ აქვს მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.** ვიზიტის დროს, ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის სამედიცინო კაბინეტი. **სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა არ არის დამაკმაყოფილებელი.** კერძოდ, **ექიმის კაბინეტში არ იყო წარმოდგენილი შირმა, კისრის ფიქსატორი, საკაცე.** გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე. **არ ხორციელდებოდა ექთნის მიერ ჟურნალების წარმოება.** სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N51, 11.09.2023წ.)
სკოლას არ წარმოუდგენია შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ). გარდა ამისა, რეკომენდირებულია, რომ სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (რჩევა). დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 23.10.2023-30.01.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრვი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმება, სათვალთვალო კამერების გამოსახულებაზე ვწდომის მქონე სიბიექტების განსაზღვრა და მათი დაცულ მდგომრაოებაში შენახვის უზრუნველყოფა, შესაბამის სამსახურთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება, სამედიცინო

კაბინეტის კანონმდებლობის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. შესვენებებზე შენობაში მორიგეობენ მასწავლებლები. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი., თუმცა ის არ არის შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კლასის დამრიგებლები და სკოლის დირექცია ცდილობენ გამოკვეთილ სირთულეებზე რეაგირებას და მოსწავლეთათვის მხარდაჭერის შეთავაზებას. სკოლას საშტატო განრიგში დამტკიცებული აქვს ფსიქოლოგის შტატი და შემუშავებული აქვს სკოლის ფსიქოლოგის პროგრამა და უფლება მოვალეობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N41, 11.09.2023წ.) თუმცა, რეალურად **სკოლის ვებ. გვერდზე და სოციალურ ქსელში ვხვდებით მოსწავლეთა ფოტო თუ ვიდეო მასალას, რომლის გამოყენების უფლება სკოლას არ აქვს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე (არც ხელშეკრულებაში და არც სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტში, ინფორმაცია მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების თანხმობის შესახებ სკოლას არ წარმოუდგენია). დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 23.10.2023-30.11.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვა.**

6. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N41, 11.09.2023წ.) მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას უზრუნველყოფს. მაგალითად, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, შესაბამისი კლასის დამრიგებელს. სკოლა არ ასაჯაროებს შემდეგი ტიპის მონაცემებს: მონაცემები ჯანმრთელობის შესახებ, ინფორმაცია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ინფორმაცია მოსწავლის ჰიგიენის შესახებ, ინფორმაცია მოსწავლის ქცევისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **ის, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ დასტურდება. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.7. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-15.01.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ექთნის პირადი საქმე;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N51, 11.09.2023წ.);
- სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N41, 11.09.2023წ.);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1 -ს 2023 წლის 11 ივლისს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით, 7 წლის ვადით (2023 წლის 11 ივლისიდან, 2030 წლის 11 ივლისამდე), სარგებლობაში გადაეცა 259,66 კვ.მ ფართი, რომელიც მდებარეობს ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე, მისამართზე: ქალაქი სენაკი , რუსთაველის ქუჩა N 255. **თუმცა, საიჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ იჯარის მოქმედების ბოლო ვადაა 11.07.2023წ. შესაბამისად, არ დასტურდება რომ სკოლას სარგებლობის უფლებით, მინიმუმ 7 წლის ვადით აქვს შენობა.** მხოლოდ 4 (ოთხი) კვ.მ -ის ფართი, დაწესებულებას ძველი დასახელებით (სპს,,საერო სკოლა მაია მზარელუა“) გადაეცა იჯარის ფორმით, 2030 წლის 11 ივლისამდე. სკოლის შენობაში 12 საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი და **სამასწავლებლოა, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის ფუნქციასაც ასრულებს, რაც ამ უკანასკნელთა ხელმისაწვდომობას ვერ უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული სხვა თანამშრომლებისათვის.** გარდა ამისა, **სკოლაში მხოლოდ ორი სველი წერილია და განკუთვნილია, როგორც პედაგოგებისათვის, ისე მოსწავლეებისათვის, რაც არ არის მიზანშეწონილი.** აღნიშნული სველი წერტილები ადაპტირებულია. **სკოლას არ აქვს არც შიდა და არც გარე სპორტული მოედანი.** დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სპორტულ დარბაზთან, რომლის თანახმად, სკოლას შესყიდული აქვს ორშაბათიდან, პარასკევის ჩათვლით ორ-ორი აკადემიური საათით სპორტული დარბაზის მომსახურება. როგორც უკვე აღნიშნა, სკოლის ბიბლიოთეკა სამასწავლებლოშია განთავსებული. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკაში 1907 ერთეული წიგნი და სასკოლო სახელმძღვანელოები იყო წარმოდგენილი, რომლებიც დამუშავებული იყო კანონით დადგენილი წესით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, **თუმცა, ფართის არ არსებობის გამო, ბიბლიოთეკა არ არის ყოველთვის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.** საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საკლასო ოთახად გამოიყენება. **მასში არ არის გამწოვი** (სკოლას შეძენილი ჰქონდა, თუმცა არ იყო დამონტაჟებული), **ასევე, ცეცხლგამძლე ზედაპირი ცდების ჩასატარებლად. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის**

უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-15.03.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს - სკოლის შენობის ფართის სარგებლობის უფლების დადასტურების უზრუნველყოფა დადგენილი ვადით, ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა, გამიჯნული სველი წერტილის მოწყობის უზრუნველყოფა, ლაბორატორიაში გამწოვის და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის უზრუნველყოფა ცდების ჩასატარებლად.

2. როგორც უკვე აღნიშნა, სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები - **ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია არ არის განთავსებული ცალ-ცალკე კაბინეტებში, შესაბამისად, ის არ არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის მათთვის სასურველ, ნებისმიერ დროს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-25.03.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის გამიჯვნა;**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლაში არ ირიცხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროები მოსწავლე. თუმცა, სკოლის შესასვლელში, კიბეებზე დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები, ასევე, სველი წერტილები ადაპტირებულია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ის, რომ **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, ვერ დგინდება.** ვინაიდან, სკოლაში არ არის საერთო, საზიარო სივრცეები, არ არის სააქტო და სპორტული დარბაზები, ასევე, კლას-კაბინეტები, ბიბლიოთეკა, რომლებიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა სოციალიზაციას. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-15.03.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეთა სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საერთო სივრცეების მოწყობა სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო **გარკვეული** რესურსები, **თუმცა, კლას-კაბინეტების, ბიბლიოთეკის, ლაბორატორიის, ხელმისაწვდომობა არ არის უზრუნველყოფილი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 23.10.2023-27.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმით განსაზღვრულ საჭირო რესურსებზე სასკოლო საზოგადოების წვდომა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;

- საიჯარო ხელშეკრულება;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკა წარმოდგენილია 7 პორტატული და 1 პერსონალური კომპიუტერით. სკოლის სარგებლობაშია ასევე 1 პრინტერი და 1 პროექტორი. **თუმცა, სკოლას არ აქვს კომპიუტერული ლაბორატორია.** როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სამასწავლებლო/ადმინისტრაციის ოთახი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ სივრცეს წარმოადგენს, შესაბამისად, **ექსპერტები ვერ დარწმუნდნენ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია**

25.10.2023-25.01.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა - ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვის მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართვა.

2. როგორც უკვე აღინიშნა, **კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია საერთო მოხმარების სივრცეში და შესაბამისად, ის არ არის ყოველთვის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის (მოსწავლე/მასწავლებელი)**. სკოლას შედგენილი აქვს კომპიუტერული მომსახურების ოპერატორის თანამდებობრივი ინსტრუქცია. თუმცა, კომპიუტერული ლაბორატორია სკოლაში არ ფუნქციონირებს. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-25.01.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის განთავსება შესაბამის სივრცეში სასკოლო საზოგადოებისთვის წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული მომსახურების ოპერატორის თანამდებობრივი ინსტრუქცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი - სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლა N1 საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში დოკუმენტების მოძრაობის წესს, საქმისწარმოების

ორგანიზების სისტემას, დირექტორის ბრძანებების, ოქმების, აქტების, სამსახურებრივი ბარათების, ხელშეკრულებების, მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების, წერილების მომზადებისა და სკოლაში შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესებს. **თუმცა, სკოლას არ აქვს კანონით დადგენილ ვადაში (სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირა) განხილული და დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 23.10.2023-27.01.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზუნველყოს სასკოლო-სასწავლო გეგმის კანნონით დადგენილ ვადებში დამტკიცების უზრუნველყოფა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მართვაში გამოყენება.**

2. სპს სენაკის ქართულ-ევროპული სკოლის N1 ელექტრონული ფოსტა და ასევე, ვებ. გვერდი და სოციალური ქსელი გამოიყენება კომუნიკაციისათვის. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით. კერძო, 2023 წლის 1 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალით სარგებლობის თაობაზე (მეიჯარე გ. თ.). თუმცა, **დაწესებულება მართვაში არ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.2.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 27.14 .2023-27.01.2024წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზუნველყოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მართვაში გამოყენება.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **როგორც აღმოჩნდა, ის არ იყო სრულყოფილად შევსებული. კერძოდ, სკოლის ბარათში მითითებულია სკოლის ძველი მისამართი. პედაგოგების და მოსწავლეების რაოდენობაც არ ემთხვევა ფაქტობრივს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 27.11 .2023-27.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზუნველყოს სკოლის პროფილისა და მონაცემების განახლება და სრულყოფა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.**

4. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მიმდინარე წლის 6 ივლისს გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება შპს ,,World Wide Web Intelligence" -თან, საიდანაც ირკვევა, რომ კომპანია მომხმარებელს გადასცემს ვებ. გვერდს არჩეული პაკეტის შესაბამისად. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია ხელმოწერის დღიდან - მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდის პერიოდი. გარდა ამისა, სკოლა აქტიურია სოციალურ ქსელშიც. **თუმცა, სკოლას არ აქვს შედგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რაც პროცესების არაორგანიზებულს ხდის. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო 7საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის შემუშავება (23.10.2023-24.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 3.6.3.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".**
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ, სკოლის მიერ დამტკიცებული და ოფიციალური სტატუსის მქონე დოკუმენტების (შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა) გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. პირისპირ კომუნიკაციის საფუძველზე ან სოციალური ქსელში, ელექტრონულ ფოსტით მიღებული უკუკავშირი სკოლისათვის საქმიანობის გაუმჯობესების, ინტერვენციების განხორციელების საფუძველია. თუმცა, როგორც აღინიშნა, სკოლას მიეცა რჩევა (ინდიკატორი 4.2.1.6) - მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები გამოიკვლიოს არა მხოლოდ

ვერბალურად, არამედ უკუკავშირის სხვა საშუალებებით, რომლებიც პროცესებს უფრო ეფექტურს გახდის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს ვებ. გვერდი: https://kartul-evropuli.edu.ge/ და მასზე განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ვებ. გვერდი შეიცავს არასრულ ინფორმაციას სკოლის შესახებ. კერძოდ, **ვებ. გვერდზე არ არის განთავსებული სკოლის ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ანგარიში ფინანსური მდგრადობის შესახებ, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 27.11 .2023-25.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზუნველყოს ვე.გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მომსახურების ხელშეკრულება შპს ,,World Wide Web Intelligence" ვებ. გვერდის გამოყენების თაობაზე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება და ასევე, სწავლის საფასურის გადასახადი. აღსანიშნავია, რომ სოციალურად დაუცველი მოსწავლეები და დედმამიშვილების, ასევე, სკოლაში დასაქმებული პირების შვილები გათავისუფლებულნი არიან, ან სარგებლობენ შეღავათით სწავლის საფასურის გადახდისას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. დაწესებულება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში გეგმავს მომავალი წლის შესყიდვებს და საჭიროების შემთხვევაში, ხდება გეგმაში ცვლილების შეტანა. ფინანსების განკარგვა ხორციელდება დაგეგმვის შესაბამისად. სკოლა აწარმოებს წლიური ანგარიშგების დოკუმენტს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვა“ (ბრძანება N40, 11.09.2023წ.), რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის კანონიერ უფლებებს (მუხლი N2). გარდა ამისა, სკოლას შედგენილი აქვს შრომის შინაგანაწესი, სადაც ასევე, განმარტებულია მოსწავლის ძირითადი უფლება-მოვალეობები (მუხლი N12). **თუმცა, სკოლას შინაგანაწესში მითითებული აქვს, რომ მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის ერთ-ერთი საფუძველია არასაპატიო მიზეზით გაკვეთილის გაცდენა (19 მუხლი, მე-6 პუნქტი, ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები),** რაც არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან (საფუძველი: ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების 38-ე მუხლი). კერძოდ, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს აქვს საშუალება ექსტერნატის ფორმით შეფასდეს. **გარდა ამისა, გაუგებარია შინაგანაწესის ჩანაწერი - ,,სწავლისადმი სისტემატიური ზერელე დამოკიდებულებისათვის“ მოსწავლეს შეიძლება გამოეცხადოს საყვედური. გარდა იმისა, რომ ჩანაწერი ბუნდოვანია და არ ჩანს, რას გულისხმობს სკოლა ,,ზერელე დამოკიდებულებაში“, აღნიშნული სრულიად ეწინააღმდეგება სწავლა-სწავლების იმ პრინციპებს, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა იყოს დამკვიდრებული (მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერა, რემედიაცია და ა.შ). დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო სკოლის შინაგანაწესის შესაბამისობაში მოყვანა მოსწავლეთა კანონიერ უფლებებთან. (23.10.2023-27.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 4.1.1.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი“.**
2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს მოსწავლის კანონიერ უფლებებს. შინაგანაწესი ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და წარმოდგენილია სკოლის ვებ. გვერდზე. გარდა ამისა, დოკუმენტი მოსწავლეთა მშობლებთან/მათ კანონიერ წარმომადგენლებთან განხილულია და გაზიარებულია მშობელთა კრებებზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, თუმცა, ხელშეკრულებაში **არ არის მითითებული ხელშეკრულების გაფორმების თარიღი.** ასევე, **არ არის მითითებული მოსწავლის**

უფლებები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ **გადაუხდელობის შემთხვევაში ხორციელდება მოსწავლის გარიცხვა, რაც არ არის შესაბამისობაში** ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 33² მუხლის მე -2 პუნქტთან (კერძო სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფ). გარდა ამისა, **არ ჩანს, რომ ხელშეკრულება წყდება მოსწავლის ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ან მობილობის შემთხვევაში. ასევე, დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებების კორექტირება (23.10.2023-27.10.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 4.1.1.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომის შინაგანაწესი;
- ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვა" (ბრძანება N40, 11.09.2023წ.);
- მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ შედგენილ დოკუმენტს, სახელწოდებით ,,მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი", რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს სკოლის შიდა დოკუმენტაცია და გამოავლინეს გარკვეული შეუსაბამობები. როგორც **გაირკვა, დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვისას ითხოვს ჯანმრთელობის ცნობას, ასევე, სოციალურად დაუცველის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, თუმცა, მოსწავლეთა პირად საქმეში ცნობები წარმოდგენილი არ არის. ასევე, აღნიშნული არ არის დარეგულირებული სკოლის მიერ საკანონმდებლო აქტით. საბაზო საფეხურის დაძლევის ბრძანებაში საფუძვლად მითითებული იყო სხვა კერძო სკოლის დასახელება** და ა.შ. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.2.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.10.2023-30.11.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენადაცია - მოსწავლეთა ჩარიცხვის დროს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის ჩამონათვალის განსაზღვრა, სკოლის მიერ წარმოებულ დოკუმენტებში მართებული ინფორმაციის მითითების უზრუნველყოფა.**
3. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას გახანგრძლივებულის სახით I-IV კლასებში, რაც განსაზღვრულია სასკოლო-სასწავლო გეგმით, რომელიც საჯარო დოკუმენტია. ამ ეტაპზე, სხვა სერვისებით სკოლა მოსწავლეებს არ უზრუნველყოფს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ. გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია. სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი";
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;

- სკოლის ვებ. გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას არ აქვს შედგენილი დოკუმენტი, რომელიც მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესს დაარეგულირებდა, თუმცა, სკოლის შინაგანაწესი და სადამრიგებლო პროგრამა მოიაზრებს გარკვეულ ასპექტებს, რომლების უზრუნველყოფენ სკოლის მოსწავლეების გარემოსთან ადაპტაციას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. ის, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, დადასტურდა ინტერვიურების პროცესში როგორც სკოლის მოსწავლეებთან, ისე მათ მშობლებთან. თუმცა, სხვა მტკიცებულება სკოლას არ წარმოუდგენია. შესაბამისად, **მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი, სადაც გაწერილი იქნება ასევე, მობილობის საფუძველზე, ან, სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების შემთხვევაში, რა კონკრეტული ნაბიჯების განხორციელებაა საჭირო, რაც პროცესების მწყობრად განხორციელებას განაპირობებდა (რჩევა). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. თუმცა, ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები სკოლამ ვერ წარმოადგინა. ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ არასასწავლო დღეს (შაბათი) სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სრულიად უსასყიდლოდ მათემატიკის და უცხოური ენის (ინგლისური) დამატებით მეცადინეობებს, თუმცა, სხვა დისციპლინებთან დაკავშირებით ექსპერტებმა ინფორმაცია ვერ მოიპოვეს. **მიზანშეწონილია, სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული ჰქონდეს მოსწავლის მხარდაჭერის მექანიზმი - მაგალითად დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით და.ა.შ.(რჩევა).ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
4. სასკოლო საზოგადოებასთან (მოსწავლე, მშობელი) გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულება მოსწავლეს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. თუმცა, რაიმე სხვა მტკიცებულება აღნიშნულთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი. **სასურველია, სკოლას საკუთარ ვებ. გვერდზე განათავსოს ინფორმაცია მოსწავლეთა მობილობის შეზღუდვის, ადმინისტრაციული წარმოების ვადების შესახებ (რჩევა). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
5. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს ის აქტივობები, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეს არაფორმალური განათლების მიმართულებით. შედგა გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. როგორც ირკვევა, მოსწავლეთა ინიციატივები სკოლაში მხარდაჭერილია. სკოლას ჰყავს თვითმმართველობის კომიტეტი, რომელსაც შედგენილი აქვს თვითმმართველობის დებულება, სადაც ასახულია მათი ძირითადი ფუნქციები, მათ შორის, კომუნიკაციის ასპექტები სკოლის დირექციასთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
6. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს იკვლევს ვერბალურად და ამის შემდგომ განსაზღვრავს საჭიროებებს. თუმცა, აღნიშნულის დამადასტურებელი მასალა ვერ იქნა წარმოდგენილი. **მიზანშეწონილია, სკოლას სტრუქტურირებული გახადოს პროცესი - შეიმუშავოს კითხვარები ან/და უკუკავშირის სხვა**

საშუალებები, რომლებიც პროცესებს უფრო ეფექტურს გახდის (რჩევა). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებას.** ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჰყავდათ ახლომდებარე პროფესიულ სასწავლებელში, თუმცა, ამას ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა. **დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 27.11.2023-01.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზუნველყოს მოსწავლეებისსათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეთავაზება.**
2. **ის, რომ სკოლა აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით არ დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.2.2.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 27.11.2023-01.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც**

„მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზუნველყოს მოსწავლეების/მათი კანონიერ წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. ვინაიდან, არ დასტურდება, რომ დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებას (ინდიკატორი 4.2.2.1), შესაბამისად, გაწეული მომსახურების შეფასება ვერ იქნება მიღებული მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების და/ან მოსწავლეთა მხრიდან. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.2.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 27.11.2023-01.12.2023წწ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზუნველყოს მოსწავლეებისთვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების უზრუნველყოფა და გაწეული მომსახურების შეფასება მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების და/ან მოსწავლეთა მხრიდან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, თუმცა, სკოლას აქვს მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად ინფრასტრუქტურული კუთხით (კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსი, სველი წერტილი ადაპტირებულია). სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ასპექტები, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. **თუმცა, სკოლას არ აქვს შემუშავებული ინდ. გეგმის ნიმუში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.2.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ**

დაწესებულებამ შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში (23.10.2023-23.11.2023). შესაბამისად, ინდიკატორი, 4.1.1.1. ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. შესაბამისად, არ არის ცნობილი, სსსმ მოსწავლის წინსვლის და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება თუ არა სასკოლო საზოგადოების ჩართულობის და თანამშრომლობის პრინციპებს. ზემოაღნიშნული ინდიკატორი ექსპერტების მხრიდან ვერ შეფასდა. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

მოთხოვნებს.დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა;

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებას, რაც ასახულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში. კერძოდ, დოკუმენტში მითითებულია, რომ სკოლა სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებას I-VI კლასის მოსწავლეებს, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, 17:00 საათამდე. თუმცა, სკოლა მომავალში ფიქრობს გაზარდოს დამატებითი მომსახურების ჩამონათვალი მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. ინტერვიუირების პროცესში, მშობლებმა აღნიშნეს, რომ გახანგრძლივებული სწავლებასთან დაკავშირებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას გააჩნია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.
მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში, წარმოდგენილია კურიკულუმები, რომლებიც აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის სკოლის ხელთ არსებული რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის დაწყებით საფეხურზე მაღალია მშობელთა ჩართულობა, ხოლო მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებითა და მოსწავლებზე დაკვირვებით ხორციელდება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დაწყებითი საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კომუნიკაცია გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.

გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად არ იკითხება თუ როგორ, რა ფორმით ჩართავს სკოლა სასკოლო საზოგადოებას მის შემუშავებაში, **სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დააზუსტონ რა ფორმით ჩართავენ მშობლებს სასწავლო პროცესში.**

ასევე, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მშობლების ჩართულობა უფრო მეტად ვლინდება კურიკულუმის განხორციელების და არა შემუშავების პროცესში. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს დაგეგმვის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის მექანიზმები.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რამდენადაც მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების მოთხოვნები და მოტივაცია თანხვედრაშია სასწავლო მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობელთა კრებებსა და კათედრების სხდომებზე განიხილება სასკოლო კურიკულუმები და სასწავლო მიზნები, რითაც თავისთავად დასტურდება მშობლებისა და მასწავლებლების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავებაში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და სამომავლოდ, გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას. გარდა ამისა, იკვეთება, რომ რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას სკოლა ითვალისინებს წინა წლის გამოცდილებას. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე იგება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმები, რომელში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეა შერჩეული.

მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს ეფუძნება ასევე ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, რაც ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევას და ასევე იმის განსაზღვრას, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შექმნაზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თუმცა, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუმ გამოკვეთა, რომ ეს ფუნქციები ჯერ კიდევ დასახვეწი და გამოსაკვეთია. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. კერძოდ, კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზეც შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. ასევე, მასწავლებლები აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ

მშობლებთან. გამოცდილების გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, რომელსაც აორგანიზებს კათედრის ხელმძღვანელი, ხოლო მუშაობის პროცესში მათ ხელს უწყობს სკოლის დირექცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმების საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და სოციალური ქსელების მეშვეობით (ჯგუფებში). სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი და ა.შ. ხელმისაწვდომი და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ატარებენ მშობელთა კრებას, რომლის ფარგლებშიც მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას და საგნობრივი კურიკულუმის (როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილის) ძირითად საკითებს. მათ შორის, აწვდიან ინფორმაციას მომავალ კომპლექსურ დავალებებსა და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით ყველა საგანში.

სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად ერთვება სკოლის მიერ ჩატარებულ სასკოლო ფესტივალებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის გაზიარების უზრუნველსაყოფად და ზოგადად, სასკოლო ცხოვრების მიმართ ინფორმირებულობის ასამაღლებად, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მშობლების ჩართულობის გააქტიურებას და მათთან კომუნიკაციის გზების გამრავალფეროვნებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასება;
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან

მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად; ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები; კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე; უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. ამ მიმართულებით დასახვეწია რუსული ენის კურიკულუმები. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, გადაამუშავოს და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს რუსული ენის კურიკულუმები (კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რესურსები).**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას იძლევა სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები. მასში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომელიც მოიცავს ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა გაიზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რამდენადაც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. იკითხება კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. შემაჯამებელ განმავითრებელ შეფასების რუბრიკაში აქცენტი კეთება მოსწავლის მხრიდან საკითხის გაგება/გაანალიზებასა და პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობაზე. საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისას ყურადღება მახვილდება მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეებში კრიტიკული და დამოუკიდებელი მუშაობის, ლოგიკური აზროვნებისა და ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად, იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად.

თუმცა, საგნობრივ ექსპერტთა მიერ აღინიშნა, რომ ზოგიერთი საგნის კურიკულუმებში შეიმჩნევა გარკვეული უზუსტობები. კერძოდ, საგანში - „ჩვენ საქართველო“, V კლასი, ორივე სემესტრში ერთად ისწავლება 5 თემა: სახელმწიფო-ჩვენი საქართველო, ქართლი, სამეგრელო, იმერეთი, აჭარა. კურიკულუმის ჩარჩოში თემები განლაგებულია საკითხის სვეტში და არა თემის ადგილას. ზოგიერთ თემაში სამიზნე ცნება საერთოდ არ არის მითითებული. გარდა ამისა, კომპლექსური დავალების იდეაში უნდა იკითხებოდეს საკითხი და პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე და არა დავალების პირობა. კონტექსტ-მაგალითი უნდა იყოს რაიმე სიტუაცია, ამბავი ან თუნდაც კერძო შემთხვევა, რომელიც მოსწავლეში წინარე ცოდნას გააქტიურებს. მსგავსი ხარვეზები შეიმჩნევა საგანში „მე და საზოგადოება”. მაგალითად: III კლასის ჩარჩო-ცხრილში თითოეულ თემაში ოთხის ნაცვლად მუშაოვდება მხოლოდ სამი სამიზნე ცნება. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა, კურიკულუმის შედგენის დროს თემაში დაამუშავონ ყველა სამიზნე ცნება, მიუთითონ კონკრეტული კონტექსტ-მაგალითები, სწორად განსაზღვრონ კომპლექსური დავალების იდეა და შეავსონ ცხრილი სრულად.**

გარდა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრისა, სკოლას მიეცა რჩევა ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის მიერაც. გამომდინარე იქიდან, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოში I და II კლასებში თემატური ბლოკების დასახელება არ არის მისადაგებული თემებთან, **სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს თემატური ბლოკებისა და თემების შესაბამისობაში მოყვანა.** ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში არ არის მითითებული რესურსები და სახელმძღვანელოები, **სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შედგენის დროს მიუთითონ სახელმძღვანელოები და საჭირო რესურსები.** გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმში მოცემული კონტექსტ მაგალითი არ არის კონკრეტული, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებელს კომპლექსური დავალების განხორციელებაში. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმში ასახოს კონკრეტული კონტექსტ მაგალითები.**

სკოლას რჩევა მიეცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მიერაც. კერძოდ, კურიკულუმის ჩარჩოს შედგენისას ერთმანეთისგან გამიჯნონ საკითხების ჩამონათვალი და კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, ასევე იდეა. ასევე, არ გადმოიწერონ სახელმძღვანელოდან პარაგრაფების ჩამონათვალი და გამოყონ კლასტერები და ძირითადი საკითხები.

საგნობრივ ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგნილი საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს მასწავლებლების მიერ საგაკვთილო პროცესზე ურთიერთდასწრებას და მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის მართვის შეფასებას წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. აღნიშნული კითხვარის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება დავალების მიცემისას. ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლეები არ ჰყავთ,

თუმცა პედაგოგები იცნობენ სწავლების დიფერენცირების პრინციპებსა და ინკლუზიურ მიდგომებს. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს სსსმ მოსწავლსთანაც.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მუშვდება კომპლექსური დავალებები, რომელიც მოითხოვს მრავალფეროვან სასწავლო რესურსს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვთ არჩევანი კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნის ნაწილში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. გარდა ამისა, მასწავლებლებთნ ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ მათ კომპლექსური დავალებების პირობები ადაპტირებული აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის.

ინტერვიუს დროს სპორტის მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. კერძოდ, მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში. მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია სპორტის კათედრის მიერ შემუშავებულ კომპლექსურ დავალებებშიც.

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მათ შემუშავებული აქვთ ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). ასევე წარმატებით იყენებენ მოსწავლებზე დაკვირვებას, სიტყვიერ უკუკავშირს და რეკომენდაციას.

სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ასევე ვერბალურ განმავითარებელ უკუკავშირს.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის კათედრასთან ინტერვიუს დროს პედაგოგმა ისაუბრა შეფასების სისტემასა და მის მნიშვნელობაზე. მან განაცხადა, რომ მასწავლებლები იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის მოსწავლის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია მათი მოტივაციის ამაღლებაზე და განვითარების პოტენციალის გაზრდაზე. მოსწავლეები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარე, მათ შორის იმაზე, თუ რამდენად კარგად იცავენ იმ ჰიგიენურ ნორმებს, რაც საჭიროა ასაკის შესაბამისად. ასევე, მასწავლებლები ყურადღებას

ამახვილებენ მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, რაც გამოხატულია მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დონეების მიხედვით (მაღალი, საშუალო, დაბალი), პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, წყვილებში მუშაობის შეფასების რუბრიკა, კლასზე დაკვირვების რუბრიკა და სხვ. V კლასის სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, თუმცა სამიზნე ცნებები არ არის შესაბამისობაში მკვიდრ წარმოდგენებთან მაგ. დოკუმენტში სამიზნე ცნება „სივრცე“ მოიცავს შემდეგ მკვიდრ წარმოდგენას: „ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე“, რაც არ არის შესაბამისობაში სამიზნე ცნებასთან. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, საზოგადოებრივ მეცნიერებებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს იხელმძღვანელოს საგნობრივი სტანდარტებით, რათა გამოიყენონ თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორები კრიტერიუმებად გარდასაქმნელად.**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებითა და მასწავლებლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. მასწავლებლებთან შეხვედრით დგინდება, რომ პედაგოგები კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს; რომელმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ და ა.შ. აღნიშნულის საფუძველზე მასწავლებლები ერთად აანალიზებენ და გეგმავენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები. სკოლას შემუშავებული აქვს რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, მაგ., გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები, რომელიც მათ ეხმარება საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების განხორციელებაში სტანდარტის შედეგების მიხედვით მოსწავლის შედეგების ანალიზის შედეგად.

გარდა ამისა, სპორტის კათედრასთან შეხვედრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ კომპლექსური დავალებების მიხედვით ბავშვების შედეგებს, მათ ჩართულობას, დავალების შესრულების ხარისხს. აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან და ახალი კურიკულუმების შემუშავება ხდება ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით. ანალიზში კარგად ჩანს ის უპირატესობები ან ნაკლოვანებები, რაც თან ახლდა სასწავლო პროცესს. მსგავსი მიდგომა, ეტაპობრივი და ორგანიზებული სწავლება უმნიშვნლოვანესია სპორტში, რადგან ფიზიკური

შესაძლებლობები, როგორც გონებრივი, ვითარდება ეტაპოვბრივად და სჭირდება წანარე გამოცდილების ანალიზი, რამდენად წარმატებული თუ წარუმატებელი იყო მცდელობა.
მშობლებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სასწავლო პროცესის მიდინარეობასთან დაკავშირებით და მათი მოსაზრება გათვალისწინებულ იქნეს სკოლის შემდგომ საქმიანობაში.
ამასთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა, მშობლებთან კომუნიკაციას მიეცეს ორგანიზებული ხასიათი, მათი მოსაზრებების სისტემატიზაციის და ანალიზის საფუძველზე მოხდეს მშობლების ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**
მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლქსური დავალებების პირობებში შეტანილი ცვლილებები და ასევე ცვლილებები თემების საათობრივ განაწილებაში.
ზემოთ აღნიშნული ინფორმაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო და სასწავლო აქტივობები;
- გაკვეთილზე დაკვირვება, მასწავლებლის შეფასება;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

პედაგოგები ორიენტირებული არიან სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური დავალებებით, პროექტებით, არაფორმალური განათლებისთვის დამახასიათებელი აქტივობებით. შესრულებულია არაერთი პროექტი და სასკოლო აქტივობა.

მაგალითისათვის, სპორტის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცავს სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი. ჩატარებული ფესტივალები, ასევე მონაწილეობა სასკოლო შეჯიბრებებში მოსწავლეებს აძლევს მოტივაციას აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში.

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრიე მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი „ქართული სამოსი“, სადაც საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად აქტიურად ჩაერთვნენ დაწყებითი კლასების მოსწავლეები.

ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და გამოკვეთოს თუ რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მათ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების იდეები მოითხოვს ეტაპობრივ დამუშავებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას, რაც გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერული თვალსაზრისით. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ცდილობენ სწავლების პროცესი გახადონ კონსტრუქტივისტული და წინარე ცოდნის მიზნობრივი გააქტიურება მათი პრაქტიკის ნაწილია. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პედაგოგები აქცენტს აკეთებენ კომპლექსირი დავალებებით სწავლებაზე. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული საკვანძო შეკითხვები და მოსწავლის მიერ გაკეთებული რეფლექსია ხელს უწყობს სწავლის სწავლას. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები კი მიემართება ცოდნის კონსტრუირებას და მოსწავლეთათვის წარმოადგენს სწავლის სწავლის მაგალითს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების განხორციელება იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა; შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პროექტული ტიპის დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამომავლოდ, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე.

ინტერვიუს დროს ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ სასწავლო პროცესში მუდმივად ახალისებენ მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ცნობისმოყვარეობას. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

დაწყებითი საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის

პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. წარმოდგენილ იქნა კურიკულუმები, რომლებიც შეიძლება ჩავთვალოთ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმად, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). შესაბამისად, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს და დასტურდება ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებითაც. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია კომპლექსური დავალებების პირობები: დაშიფრული რიცხვების ამოცნობა, სიტყვებში მარცვლების დათვლა / დაჯგუფება, ყვავილების ორანჟერეის მოწყობა, ოპტიმალური ტურის დაგეგმვა და სხვა. რაც მოსწავლეებისაგან მოითხოვს როგორც დეკლარატიული და პროცდურული ცოდნის გააქტიურებას, ასევე ცოდნის გამოყენებას, რაც უზრუნვლყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ცოდნის სამივე სახეზე ხდება აპელირება შეინიშნება დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილებაშიც (ინტერვიუ პერსონაჟთან, იგავების შექმნა, კომიქსები, აღწერის, აღწერისა და თხრობის მონაცვლეობით შექმნილი ტექსტები).

ასევე აღსანიშნავია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები, რომლებიც ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. იკვეთება, რომ მოსწავლეები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. ისინი იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამივე სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მოსწავლეები ავითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ცხოვრების ჯანსაღ წესს, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დასტურდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ მან ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები მოსწავლეთათვის უცხო არ არის. საფეხურის ფარგლებში კლასების მიხდვით აღნიშნული თემები მეორდება და რთულდება მოსწავლის შესაძლებლობების ზრდის და გამოცდილების პარალელურად. რაც შეეხება კომპლქსურ დავალებებს, ის ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლმის გადაჭრაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ბუნბრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას აძლევს დაძლიოს არსებული გამოწვევა.

გარდა ამისა, სპორტის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, ცალ-ცალკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს, უზრუნველყოფს ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით სრულყოფილად შესრულებული დავალების მიღების შესაძლებლობას. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენეტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუების შეჯერებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასება;
- კომპლექსური დავალებები;
- პროექტი და აქტივობები (არაფორმალური);
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორინტირი, რომელსაც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება. ქვეცნებები კი ის საყრდენი ერთეულებია, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ საკითხებსა და ქვესაკითხებს. პედაგოგებთან გასაუბრებით და სასკოლო სასწავლო გეგმის გაანალიზებით დადგინდა, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში შერჩეულია საკითხები ისე, რომ თემის დამუშავების პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები. ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ქვეცნებები. რელევანტური კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, კომპლექსური დავალებებით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და

განვითარების წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მოაზრებულია სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული საკითხების ფუნქციურ კონტექსტში განხილვის საშუალებად. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ჯერ კიდევ საჭიროებს მათი მხრიდან გააზრებას. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, გამოკვეთონ კავშირი საგნობრივ საკითხებს, ქვეცნებებსა და ცნებებს შორის.**

საზოგადოებრივი კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ იქნა („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) კურიკულუმის ჩარჩო (III-IV და V-VI კლასები), რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა აქტიურად გააგრძელოს მუშაობა და დაგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტიდან მომდინარეა და არ იქნება მათთვის რთულად აღსაქმელი. სასწავლო პროცესი ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. საგნობრივ კრიკულუმებში შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, კომპლქსური დავალებების პირობები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე როლს წარმოადგენს სასწავლო მიზნის მისაღწევად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ირკვევა, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან პროდუქტს. დავალებების განხორციელების პროცესში მოსწავლეები ვითარდებიან პიროვნულად, უვითარდებათ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

გარდა ამისა, სპორტის საგნობრივი ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, რამდენადაც მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა სპორტის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული დოკუმენტების განხილვითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობა და განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საგნობრივი საკითხის დასწავლასთან ერთად, მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში, თვალს ადევნებენ მოსწავლეთა სოციალურ უნარებს, თვითრეგულირებად სწავლის პროცესს, დამოუკიდებლობას, აზროვნების პროცესს (ვარაუდის გამოთქმა, ფაქტებისა და არგუმენტების მოძიება და დასაბუთება - სამიზნე ცნებების დაუფლება).

მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და გეგმავენ პერიოდულად ცვლილებების შეტანას შეფასების რუბრიკებში. პედაგოგები ცდილობენ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დამატებით უნდა ითქვას, რომ როგორც ამჟამად არსებული, ასევე ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი შეფასების რუბრიკები მოითხოვს სრულყოფას ინფორმაციულობის თვალსაზრისით, ვინაიდან ისინი ვერ იძლევიან მოსწავლის მიღწევების სრულად შეფასების შესაძლებლობას, თუმცა არც საფრთხეს უქმნან მოსწავლეების მიერ გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

ამავდროულად უნდა არინიშნოს, რომ კომპლექსური დავალებები გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე კათედრების მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ამიტომ, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლა ამ ეტაპზე იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რაც გულისხმობს შეფასების წარმოებას საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშებისა და, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია თუ როგორ ხდება კლასისა და საფეხურის დაძლევა. განსაზღვრულია ასევე გამოცდის ტიპები.

დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სიტყვიერ კომენტარს. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და რა შედეგი ექნება მას. ასევე მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტრიუმებს, მათ უჩნდებათ თანამონაწილეობისა და სამართლიანობის განცდა, რაც საერთო ჯამში უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გვალიდურობას, სანდოობას, ობიქტურობას, სამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ.

სკოლამ წარმოადგინა შეფასების ინსტრუმენტები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ცდილობენ პრაქტიკაში დანერგონ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლებიც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლელებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა იგი საჭიროებს დახვეწას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა სწავლის შედეგების შეფასების ხარისხი. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და შენახვას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს ელექტონული საქმისწარმოების სისტემა, ყველა დოკუმენტს ინახავენ მატერიალურადაც. მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოები ინახება ერთი წლით. კათედრების მიერ მოსწავლეთა მონაცემების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული შემაჯამებელი თუ კომპლექსური დავალებების მიხედვით, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

სკოლის მიერწარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;**
- **კომპლექსური დავალებები;**
- **სასწავლო აქტივობები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **მიმდინარე და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;**
- **სკოლის თვითშეფასება;**
- **კათედრის ოქმები;**
- **მასწავლებლების ინტერვიუები.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის სტრატეგიულ და ერთწლიან სამუშაო გეგმებში ასახულია, რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს უზრუნველყოფა, რომლის მისაღწევადაც დასახულია კონკრეტულად განსახორციელებელი გზა. შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომლებიც მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს.

ასევე, საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული აქტივობები, რომელზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, ასევე საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ფორმა, რომელიც აფასებს მასწავლებლის მხრიდან სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნის პროცესსაც, ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე ინტერვიუს დროს გამოკვეთილი სპორტის მასწავლებლების ჯანსაღი დამოკიდებულებ სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. ამასთანავე, მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, წარმოატებული მოსწავლის მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება და ა.შ

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს, როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა, ქმნის დირექტორი, რომელიც ახალისებს მოქმედების თავისუფლებას, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და სკოლაში ნებისმიერი გამოწვევა ერთობლივი ძალისხმევით გადაილახება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. ასევე, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სწორედ სწორედ მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო მიიჩნევა. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ახალ ცოდნას აშენებენ წინარე გამოცდილებაზე და მოსწავლეებს სთავაზობენ ამოცანებს მათთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ინტეგრირებული სწავლების დანერგვაც, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და მოსწავლეზეე ორიენტირებულს გახდის სასწავლო პროცესს.

სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის მიზნით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ამავდროულად, მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

გარდა ამისა, სპორტის საგნოვრივი ექსპერტის შეფასებით, სპორტის კათედრის მიერ დაწყებითი კლასების კურიკულუმებში შეინიშნება თემების მრავალფეროვნება. კომპლექსური დავალებების შინაარსი კარგად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. გათვალისწინებული აქვთ სხვადასხვა სპორტის დისციპლინა თუ სპორტული გასართობი თამაშები, იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს, მონაწილეობენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. აღსანიშნავია ასევე, რომ სკოლის დირექცია აქტიურად მონაწილეობს შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები (მათ შორის ციფრული რესურსები); რესურსები, რომლებსაც სკოლას სასკოლო საზოგადოების წევრები (მაგალითად, მშობლები) და გარე პარტნიორები სთავაზობენ (მაგალითად, ექსკურსიების ორგანიზება, მუზეუმებში ვიზიტი). რაც ასევე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტიერებულად წარმართვის საშუალება.

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლაში პოზიტიური კლიმატის განმაპირობებელ პროცესებს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, პასუხისმგებლობა და სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა. პედაგოგები მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ ზრდაზე, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერასა და სკოლის განვითარებაზე. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრების სხდომების თუ სამუშაო შეხვედრების ოქმებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან და დირექციასთან.

სკოლაში არსებობს მიმღებლობის მაღალი დონე და გამოცდილების გაზიარების ტრადიცია. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად, კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის და შეფასების თანამონაწილეობით პროცესს. პედაგოგები ერთად აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთობლივადვე ქმნიან მომდევნო წლის სასწავლო პროგრამებს, არჩევენ განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებებს, განიხილავენ რა ტიპის დავალებებმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება. ასევე, ერთობლივად ქმნიან და უზიარებენ ერთმანეთს სასწავლო რესურსებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლისათვის უმნიშვნელოვანესია კლასის და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში შექმნან მამოტივირებელი და პოზიტიური გარემო, რისთვისაც მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს მათი ინტრესებიდან გამომდინარე. კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს ასევე მასწავლებლების თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც მოსწავლეებისათვის არის კარგი მოდელი. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება შესამჩნევი იყო მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. წარმოდგენილი დოკუმენტებითა და

მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებსა თუ სხვა აქტივობებში.
მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს აქტივობებს არჩევენ მათი იტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, რომელიც შეიძლება იყოს ლაშქრობა ან სხვა წამახალისებელი ღონისძიება, მოსწავლეთა სურვილის მიხედვით.
საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფასა და განწყობის შენარჩუნება კარგად ახერხებენ სპორტის მასწავლებლები სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით. ხაზი უნდა გაესვას დირექციის ჩართულობასაც აღნიშნულ საკითხში, რამდენადაც დირექცია აქტიურად არის ჩართული ფესტივალების ორგანიზებასა და ჩატარებაში, რაც ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მოსწავლეებთან და მშოვლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის პრიორიტეტულია პოზიტიური სასწავლო გარემო არსებობა სკოლის და კლასის დონეზე. მშობლების მხრიდან სწორედ ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ამ სკოლაზე აკეთებენ არჩევანს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასება;
- კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი;
- სასწავლო აქტივობათა შესრულების დროს თანამშრომლობა და უკუკავშირი;
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სკოლაში ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების შესრულების მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების შეფასება კათედრებზე. მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას ან რაიმეს შეცვლას. შესაბამისად, იკვეთება, რომ სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუმცა ეს პროცესი მოითხოვს გაუმჯობესებას, რადგანაც მას არ აქვს სისტემური ხასიათი. აღნიშნულის გამოსასწორებლად კი პირველ რიგში უნდა შემუშავდეს ვერიფიკაციის მექანიზმი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად იგეგმება აღნიშნული პროცესების მართვა.

გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია ის, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი, **სკოლას მიეცა რჩევა, მეტად გაამახვილონ ყურადღება განმავითარებელ კომენტარზე, რომელიც განისაზღვრება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში ჩამოყალიბებული მოლოდინების მიხედვით; რომელიც შეიცავს აღწერას, მოსწავლის მიღწევას და რჩევას.**

სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება, რისთვისაც გეგმავს შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. კათედრების მიერ არჩეული იქნა სამინისტროს მიერ შეთავაზებული დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც 2023-2024 სასწავლო წლისთვის ჩატარდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რაც თავისთავად მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხადაჭერას და დახმარებას. მონტორინგში მონაწილეობას იღებენ მშობლებიც, რომლებსაც ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები და შემდგომ თავიანთი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება ეძლევათ მშობელთა შეკრებებზე.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული მონიტორინგს სისტემა ახდენს მონაცემების აღრიცხვას და ემსახურება კურიკულუმის დანერგვის ხელშეწყობას. მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ემსახურება სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, მასწავლებლის მხარდაჭერას. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე დგინდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა კონკრეტული საჭიროებები და იგეგმება მათი მხარდაჭერა

მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა იკვლევს მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებებსაც და შედეგების გათვალისწინებით მრჩეველთა საბჭოსა და დირექტორთან ერთად გეგმავს მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგებს, სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს. უზრუნველყოფს აღნიშნულ ღონისძიებათა გეგმაზომიერ განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას და გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას. მიმდინარე პერიოდისათვის კურიკულუმის ვერიფიკაციის პრაქტიკა სპონტანურია, თუმცა მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწასა და გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას.

როგორც დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვთა, სასწავლო პროცესის მონიტორინგითა და შეფასებით დგინდება სკოლაში არსებული პრობლემები. გამოვლენილი პრობლემების განხილვა ხდება კათედრაზე და იგეგმება შესაბამისი ინტეერვენციები, იქნება ეს დიფერენცირებული სწავლება თუ რემედიაცია, ასევე საჭიროების შემთვევაში მუშავდება გეგმა თუ როგორ დაეხმარონ მასწავლებელს პრობლემის დაძლევაში.

სპორტის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, უმნიშვნელოვანესია პრობლემების გამოკვეთა და კორექტირება სპორტშიც, რაც მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხდება. მასწავლებლებისთვის ეფექტურია ბავშვების შედეგების მიხედვით

განსაზღვრონ რამდენად წარმატებული იყო მათი პერფომანსი, მოახდინონ პრობლემის იდენტიფიკაცია და იმუშაონ მის აღმოფხვრაზე.
სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასება.
- სადიაგნოსტიკო საქმიანობა
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლესა და პედაგოგს აძლევს ინფორმირების საშუალებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ.

მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას და მრავალფეროვან ინსტრუმენტებს ნერგავენ პრაქტიკაში

სასწავლო პროცესის შეფასებისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა წყაროებს, ეს არის გაკვეთილზე დასწრება, შემაჯამებელი დავალებების და მოსწავლეთა სემესტრული და წლიური შეფასების ანალიზი. სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმოთ განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. უმეტესწილად ეს ხორციელდება ზეპირსიტყვიერად, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით. სწავლის შედეგები განიხილება კათედრების სამუშაო შეხვედრებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს სპორტშიც, რაც გამოხატულია როგორც რიცხვებით წარმოებული სტატისტიკით, ისე თვალით დანახული ტექნიკური მახასიათებლების ხარისხის განსაზღვრით. მიმდინარეობს ასევე მოსწავლეებზე დაკვირდვება რათა განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებთან შესაბამისობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალსწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

დაწყებით საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მათ შორის მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, დ ა რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. მოსწვლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მასწავლებლები მათ აძლევენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს, ხოლო სემესტრში ორჯერ აკეთებენ მოსწავლეთა შეფასებას ელექტრონულ ჟურნალში, რაც მშობელს ეხმარება მიიღოს ინმფორმაცია თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. რაც შეეხება V-VI კლასების შეფასების დროს სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით.

მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასებას ახოციელებენ მასწავლებლები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტშიც. ამისათვის პედაგოგები ახდნენ ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგს, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი.

დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ისინი მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით და ამავდროულად, გამოთქვამენ მზაობას, მეტად დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენება როგორც მოსწავლეთა შედეგები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, სემესტრული და წლიური) ასევე მასწავლებელთა ანგარიშები, რომლებიც კეთდება კათედრებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კათედრებს აქვთ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: რაოდენობრივი (ზეპირი და წერილობითი გამოკითხვა), თვისებრივი (დიალოგი, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი). ამასთან, მასწავლებლები გეგმავენ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვების მეთოდები. დაგეგმილია ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის გააქტიურება და დირექციასთან ერთად აღნიშნული პროცესის სრულყოფა.

მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მასწავლებლებსა და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდი. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან. ასევე იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. გარდა ამისა, მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლებისა და პროექტების საშუალებით, რომელშიც მაქსიმალურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან ინტერვიუების შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სასწავლო პროცესის შეფასებისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, იქნება ეს მეორადი მონაცემების ანალიზი, მშობელთა უკუკავშირი თუ მოსწავლეთა ფოკუსჯგუფი.

სკოლაში შეფასება რომ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამას ცხადყოფს სკოლის მიერ გამოყენებული დიფერენცირებული სწავლის მეთოდებიც, რაზე დაყრნდობითაც სკოლა ადგენს შეფასების რუბრიკებს (განმავითარებელი/განმსაზღვრელი).

დაწყებით საფეხურზე სპორტის მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე იკვეთება, რომ მასწავლებლები შეფასების დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებას, ასაკს, სქესს და სხვა ბუნებრივ ფაქტორებს. მათი განმარტებით, აუცილებელია წინარე გამოდილების გათვალისწინებაც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, მოსწავლის შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მიერ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი შემუშავების პროცესშია. რამდენადაც, კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია, სკოლა გეგმავს დეტალურად გაწეროს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, პასუხისმგებლობების დელეგირების საკითხი, ვადები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია. ისინი ერთობლივად ზრუნავენ კურიკულუმების განვითარებაზე. განიხილავენ მიღწეულ შედეგებს და საჭიროებისამებრ შეაქვთ მასში ცვლილებები. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლა აქვს მზაობა, სისტემატურად განახორციელოს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასება, გამოვლენილი მიგნებების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

როგორც უკვე აღინიშნა, დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შედგენასა და დახვეწაზე. ისინი ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, გასული სასწავლო წლის შეფასებასა და რეკომენდაციებს.

სკოლას გააზრებული აქვს, თუ, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით უნდა გაანალიზდეს რევიზიის შედეგები. იქნება ეს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია თუ სხვა.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას გააჩნია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილია კურიკულუმები, რომლებიც აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის სკოლის ხელთ არსებული რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის

ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის საბაზო საფეხურზე მაღალია მშობელთა ჩართულობა, ხოლო მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებითა და მოსწავლებზე დაკვირვებით ხორციელდება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საბაზო საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კომუნიკაცია გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.
გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად არ იკითხება თუ როგორ, რა ფორმით ჩართავს სკოლა სასკოლო საზოგადოებას მის შემუშავებაში, **სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დააზუსტონ რა ფორმით ჩართავენ მშობლებს სასწავლო პროცესში. (მაგ. კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთავენ ან/და ელექტრონული ჟურნალით გააზიარებენ ან/და კომპლექსური დავალების ბარათებს გააგზავნიან და სხვა)**
ასევე, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მშობლების ჩართულობა უფრო მეტად ვლინდება კურიკულუმის განხორციელების და არა შემუშავების პროცესში. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს დაგეგმვის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის მექანიზმები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რამდენადაც მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების მოთხოვნები და მოტივაცია თანხვედრაშია სასწავლო მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობელთა კრებებსა და კათედრების სხდომებზე განიხილება სასკოლო კურიკულუმები და სასწავლო მიზნები, რითაც თავისთავად დასტურდება მშობლებისა და მასწავლებლების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავებაში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და სამომავლოდ, გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას. გარდა ამისა, იკვეთება, რომ რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას სკოლა ითვალისინებს წინა წლის გამოცდილებას. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და გამოცდილების ანალიზის

საფუძველზე იგება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმები, რომელში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეა შერჩეული.

მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს ეფუძნება ასევე ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, რაც ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევას და ასევე იმის განსაზღვრას, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შექმნაზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თუმცა, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუმ გამოკვეთა, რომ ეს ფუნქციები ჯერ კიდევ დასახვეწი და გამოსაკვეთია. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. კერძოდ, კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზეც შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. ასევე, მასწავლებლები აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ

მშობლებთან. გამოცდილების გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, რომელსაც აორგანიზებს კათედრის ხელმძღვანელი, ხოლო მუშაობის პროცესში მათ ხელს უწყობს სკოლის დირექცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმების საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და სოციალური ქსელების მეშვეობით (ჯგუფებში). სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი და ა.შ. ხელმისაწვდომი და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ატარებენ მშობელთა კრებას, რომლის ფარგლებშიც მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას და საგნობრივი კურიკულუმის (როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილის) ძირითად საკითებს. მათ შორის, აწვდიან ინფორმაციას მომავალ კომპლექსურ დავალებებსა და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით ყველა საგანში.

სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად ერთვება სკოლის მიერ ჩატარებულ სასკოლო ფესტივალებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის გაზიარების უზრუნველსაყოფად და ზოგადად, სასკოლო ცხოვრების მიმართ ინფორმირებულობის ასამაღლებად, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მშობლების ჩართულობის გააქტიურებას და მათთან კომუნიკაციის გზების გამრავალფეროვნებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასება;
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტმაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო აქტივობები და

პროექტები. (მაგ: ლიტერატურული ღონისძიებები ლადო ასათიანის, გალაკტიონის, ნოდარ დუმბაძისა და ანა კალანდაძის პოეზიის შესახებ).

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ თითქმის ყველა საგანში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად; ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები; კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე; უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. ამ მიმართულებით დასახვეწია რუსული ენის კურიკულუმები. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, გადამუშავოს და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანოს რუსული ენის კურიკულუმები (კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რესურსები).**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას იძლევა სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები. მასში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომელიც მოიცავს ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა გაიზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარვეზი ფიქსირდებოდა სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში. კერძოდ, ყველა თემასთან მიმართებით არ იყო განსაზღვრული სამიზნე ცნება, ქვეცნება და რესურსი. შესაბამისად ყველა თემასთან მიმართებით არ მუშავდებოდა სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო მათემატიკის კურიკულუმების სრულყოფა. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.

ამასთან საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი ცნებები და ქვეცნებები საჭიროებს გადახედვას/ცვლილებას, რისთვისაც **სკოლას მიეცა რჩევა იხელმძღვანელოს Math.ge-ს სკოლის ავტორიზაციისათვის დამხმარე მასალებით და კურიკულუმში**

წარმოდგენილი ცნებები და ქვეცნებები, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით არის განსაზღვრული ჩაანაცვლოს Math.ge-ზე მოცემული განახლებული ვერსიით.
სკოლას მიეცა რჩევა ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მიერაც. კერძოდ, აკადემიური საათების გათვალისწინებით განსაზღვრონ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.
გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები საგნობრივი ექსპერტის მიერ შეფასდა როგორც ხარვეზული, **ინდიკატორის მოთხოვნების არ არის დაკმაყოფილებული.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები უმეტესწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რამდენადაც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად, იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად, რაც მოსწავლეებს განუვითარებს შემოქმედებითი აზროვნების უნარს.
ესთეტიკური აღზრდის კათედრიე მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე (მუსიკა და ხელოვნება) დაყრდნობით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ იაზროვნოს კრიტიკულად, შეძლონ პრობლემის გადაჭრისა შემოქმედებითად, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო, რომელიც ასევე თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელად მუშაობის, რეფლექსიის და მეტაკოგნიტურო სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს დამოუკიდებელ პიროვნებად, რომელსაც თავად შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების მოგვარება.
თუმცა, იკვეთევა გარკვეული ხარვეზები რამდენიმე საგნის კურიკულუმებთან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც სკოლას საგნობრივი ექსპერტების მიერ მიეცა გარკვეული რჩევები. კონკრეტულად, სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში დასაზუსტებელია გრძელვადიანი მიზნები. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, სამიზნე ცნებების განსაზღვრისას იხელმძღვანელოს math.ge -ით.**
ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო, მათ შორის VII და VIII კლასებისთვის ორ-ორი ვარიანტი, განსხვავებული დავალებებით. **შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, მოახდინონ მათი გაერთიანება და შეიმუშავონ საბოლოო ვარიანტი.** ასევე, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, თუმცა შექმნილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო საჭიროებს გარკვეულ დახვეწას. **სკოლას მიეცა რჩევა, VII და VIII კლასების კურიკულუმებში შეავსონ კონტექსტ-მაგალითის, კომპლექსური დავალების იდეის და შედარებისათვის მაგალითის გრაფები.**
გარდა ამისა, **სკოლას რჩევა მიეცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მიერაც. კერძოდ, კურიკულუმის ჩარჩოს შედგენისას ერთმანეთისგან გამიჯნონ საკითხების ჩამონათვალი და კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, ასევე**

იდეა. ამასთანავე, არ გადმოიწერონ სახელმძღვანელოდან პარაგრაფების ჩამონათვალი და გამოყონ კლასტერები და ძირითადი საკითხები.

საგნობრივ ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგნილი საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს მასწავლებლების მიერ საგაკვთილო პროცესზე ურთიერთდასწრებას და მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის მართვის შეფასებას წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. აღნიშნული კითხვარის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება დავალების მიცემისას. ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლეები არ ჰყავთ, თუმცა პედაგოგები იცნობენ სწავლების დიფერენცირების პრინციპებსა და ინკლუზიურ მიდგომებს. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს სსსმ მოსწავლსთანაც.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მუშვდება კომპლექსური დავალებები, რომელიც მოითხოვს მრავალფეროვან სასწავლო რესურსს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვთ არჩევანი კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნის ნაწილში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. გარდა ამისა, მასწავლებლებთნ ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ მათ კომპლექსური დავალებების პირობები ადაპტირებული აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის.

ინტერვიუს დროს სპორტის მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. კერძოდ, მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში. მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია სპორტის კათედრის მიერ შემუშავებულ კომპლექსურ დავალებებშიც.

საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლა საბაზო საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მათ შემუშავებული აქვთ ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). ასევე წარმატებით იყენებენ მოსწავლებზე დაკვირვებას, სიტყვიერ უკუკავშირს და რეკომენდაციას.
სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ასევე ვერბალურ განმავითარებელ უკუკავშირს.
გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის კათედრასთან ინტერვიუს დროს პედაგოგმა ისაუბრა შეფასების სისტემასა და მის მნიშვნელობაზე. მან განაცხადა, რომ მასწავლებლები იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის მოსწავლის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია მათი მოტივაციის ამაღლებაზე და განვითარების პოტენციალის გაზრდაზე. მოსწავლეები იღებენ სიტყვიერ შეფასებასაც მათი ქცევიდან გამომდინარე, მათ შორის იმაზე, თუ რამდენად კარგად იცავენ იმ ჰიგიენურ ნორმებს, რაც საჭიროა ასაკის შესაბამისად. ასევე, მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, რაც გამოხატულია მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დონეების მიხედვით (მაღალი, საშუალო, დაბალი), პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, წყვილებში მუშაობის შეფასების რუბრიკა, კლასზე დაკვირვების რუბრიკა და სხვ. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში შეფასების სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები გარდაიქმნება კრიტერიუმებად. მაგ. VIII კლასში, ისტორიის თემაზე „ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეები“, შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც კარგად ჩანს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორები როგორ არის გარდაქმნილი შეფასების კრიტერიუმებად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. მასწავლებლებთან შეხვედრით დგინდება, რომ პედაგოგები კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს; რომელმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ და ა.შ. აღნიშნულის საფუძველზე მასწავლებლები ერთად აანალიზებენ და გეგმავენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები. სკოლას შემუშავებული აქვს რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, მაგ., გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები, რომელიც მათ ეხმარება საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების განხორციელებაში სტანდარტის შედეგების მიხედვით მოსწავლის შედეგების ანალიზის შედეგად.

გარდა ამისა, სპორტის კათედრასთან შეხვედრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ კომპლექსური დავალებების მიხედვით ბავშვების შედეგებს, მათ ჩართულობას, დავალების შესრულების ხარისხს. აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან და ახალი კურიკულუმების შემუშავება ხდება ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით. ანალიზში კარგად ჩანს ის უპირატესობები ან ნაკლოვანებები, რაც თან ახლდა სასწავლო პროცესს. მსგავსი მიდგომა, ეტაპობრივი და ორგანიზებული სწავლება უმნიშვნლოვანესია სპორტში, რადგან ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც გონებრივი, ვითარდება ეტაპოვბრივად და სჭირდება წანარე გამოცდილების ანალიზი, რამდენად წარმატებული თუ წარუმატებელი იყო მცდელობა.

მშობლებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სასწავლო პროცესის მიდინარეობასთან დაკავშირებით და მათი მოსაზრება გათვალისწინებულ იქნეს სკოლის შემდგომ საქმიანობაში.

ამასთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა, მშობლებთან კომუნიკაციას მიეცეს ორგანიზებული ხასიათი, მათი მოსაზრებების სისტემატიზაციის და ანალიზის საფუძველზე მოხდეს მშობლების ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**

მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლქსური დავალებების პირობებში შეტანილი ცვლილებები და ასევე ცვლილებები თემების საათობრივ განაწილებაში.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო და სასწავლო აქტივობები;
- გაკვეთილზე დაკვირვება, მასწავლებლის შეფასება;
- შეფასების რუბრიკები;

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

პედაგოგები ორიენტირებული არიან სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური დავალებებით, პროექტებით, არაფორმალური განათლებისთვის დამახასიათებელი აქტივობებით. შესრულებულია არაერთი პროექტი და სასკოლო აქტივობა.

მაგალითისათვის, სპორტის კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცავს სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი. ჩატარებული ფესტივალები, ასევე მონაწილეობა სასკოლო შეჯიბრებებში მოსწავლეებს აძლევს მოტივაციას აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში.

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი „ქართული სამოსი“, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართული საბაზო საფეხურის მოსწავლეებიც.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სენაკის შოთა მესხიას სახელობის კოლეჯთან, სადაც მოსწავლეებს არაფორმალური განათლების კუთხით შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სხვადასხვა პროფესიას.

ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და გამოკვეთოს, თუ რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მათ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების

იდეები მოითხოვს ეტაპობრივ დამუშავებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას, რაც გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერული თვალსაზრისით. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ცდილობენ სწავლების პროცესი გახადონ კონსტრუქტივისტული და წინარე ცოდნის მიზნობრივი გააქტიურება მათი პრაქტიკის ნაწილია. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პედაგოგები აქცენტს აკეთებენ კომპლექსირი დავალებებით სწავლებაზე. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული საკვანძო შეკითხვები და მოსწავლის მიერ გაკეთებული რეფლექსია ხელს უწყობს სწავლის სწავლას. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები კი მიემართება ცოდნის კონსტრუირებას და მოსწავლეთათვის წარმოადგენს სწავლის სწავლის მაგალითს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების განხორციელება იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა; შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პროექტული ტიპის დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამომავლოდ, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე.

ინტერვიუს დროს ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ სასწავლო პროცესში მუდმივად ახალისებენ მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ცნობისმოყვარეობას. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ამდენად,

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. წარმოდგენილ იქნა კურიკულუმები, რომლებიც შეიძლება ჩავთვალოთ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმად, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). შესაბამისად, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნული დასტურდება საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს და დასტურდება ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებითაც. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია კომპლექსური დავალებების პირობები: კურიკულუმებში გაწერილი კომპლქსური დავალებების პირობები: თანხის ანაბარზე დადებასთან დაკავშირებით, კოტეჯის მაკეტის შედგენა და სხვა. რაც მოსწავლეებისაგან მოითხოვს როგორც დეკლარატიული და პროცდურული ცოდნის გააქტიურებას, ასევე ცოდნის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ცოდნის სამივე სახეზე ხდება აპელირება შეინიშნება საბაზო საფეხურზე სახელმწიფო ენის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილებაშიც (მხატვრული და არამხატვრული ტექსტები, პრეზენტაციები).

ასევე აღსანიშნავია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები, რომლებიც ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. იკვეთება, რომ მოსწავლეები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. ისინი იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის

სამივე სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მოსწავლეები ავითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ცხოვრების ჯანსაღ წესს, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლს.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დასტურდება საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ მან ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.
უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები მოსწავლეთათვის უცხო არ არის. საფეხურის ფარგლებში კლასების მიხდვით აღნიშნული თემები მეორდება და რთულდება მოსწავლის შესაძლებლობების ზრდის და გამოცდილების პარალელურად. რაც შეეხება კომპლქსურ დავალებებს, ის ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლმის გადაჭრაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ბუნბრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას აძლევს დაძლიოს არსებული გამოწვევა.
გარდა ამისა, სპორტის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, ცალ-ცალკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს, უზრუნველყოფს ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით სრულყოფილად შესრულებული დავალების მიღების შესაძლებლობას. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს. საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენეტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუების შეჯერებით დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასება;
- კომპლექსური დავალებები;
- პროექტი და აქტივობები (არაფორმალური);
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორინტირი, რომელსაც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება. ქვეცნებები კი ის საყრდენი ერთეულებია, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ საკითხებსა და ქვესაკითხებს. პედაგოგებთან გასაუბრებითა და სასკოლო სასწავლო გეგმის გაანალიზებით დგინდება, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას გამოიკვეთა, რომ ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება. პედაგოგებს აქვთ მზაობა აქტიურად გააგრძელონ

მუშაობა, დაგეგმონ კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მოაზრებულია სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული საკითხების ფუნქციურ კონტექსტში განხილვის საშუალებად. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ჯერ კიდევ საჭიროებს მათი მხრიდან გააზრებას. **შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, გამოკვეთონ კავშირი საგნობრივ საკითხებს, ქვეცნებებსა და ცნებებს შორის.**

საზოგადოებრივი კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ იქნა კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა აქტიურად გააგრძელოს მუშაობა და დაგეგმოს კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტიდან მომდინარეა და არ იქნება მათთვის რთულად აღსაქმელი. სასწავლო პროცესი ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. საგნობრივ კრიკულუმებში შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, კომპლქსური დავალებების პირობები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე როლს წარმოადგენს სასწავლო მიზნის მისაღწევად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ირკვევა, რომ საბაზო კლასების მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან პროდუქტს. დავალებების განხორციელების პროცესში მოსწავლეები ვითარდებიან პიროვნულად, უვითარდებათ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

გარდა ამისა, სპორტის საგნობრივი ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, რამდენადაც მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ

თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა სპორტის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.
ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში იგეგმება სასწავლო პროექტები და ტარდება სადამრიგებლო საათები კონკრეტულ თემებზე. მაგალითად: ბავშვთა უფლებები და მოვალეობები; პასუხისმგებლობა, ვალდებულებები, ურთიერთობები უფროსებთან და მეგობრებთან; და ა.შ.
შესაბამისად, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები, თემები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული დოკუმენტების განხილვითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობა და განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საგნობრივი საკითხის დასწავლასთან ერთად, მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში, თვალს ადევნებენ მოსწავლეთა სოციალურ უნარებს, თვითრეგულირებად სწავლის პროცესს, დამოუკიდებლობას, აზროვნების პროცესს (ვარაუდის გამოთქმა, ფაქტებისა და არგუმენტების მოძიება და დასაბუთება - სამიზნე ცნებების დაუფლება).
მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და გეგმავენ პერიოდულად ცვლილებების შეტანას შეფასების რუბრიკებში. პედაგოგები ცდილობენ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დამატებით უნდა ითქვას, რომ როგორც ამჟამად არსებული, ასევე ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი შეფასების რუბრიკები მოითხოვს სრულყოფას ინფორმაციულობის თვალსაზრისით, ვინაიდან ისინი ვერ იძლევიან მოსწავლის მიღწევების სრულად შეფასების შესაძლებლობას, თუმცა არც საფრთხეს უქმნან მოსწავლეების მიერ გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.
ამავდროულად უნდა არინიშნოს, რომ კომპლექსური დავალებები გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ

დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ამიტომ, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლა ამ ეტაპზე იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რაც გულისხმობს შეფასების წარმოებას საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშებისა და, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია თუ როგორ ხდება კლასისა და საფეხურის დაძლევა. განსაზღვრულია ასევე გამოცდის ტიპები.

საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სიტყვიერ კომენტარს. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და რა შედეგი ექნება მას. ასევე მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტრიუმებს, მათ უჩნდებათ თანამონაწილეობისა და სამართლიანობის განცდა, რაც საერთო ჯამში უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გვალიდურობას, სანდოობას, ობიქტურობას, სამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ.

სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა შეფასების ინსტრუმენტები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. პედაგოგები ცდილობენ პრაქტიკაში დანერგონ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლებიც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.
სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა იგი საჭიროებს დახვეწას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა სწავლის შედეგების შეფასების ხარისხი. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და შენახვას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს ელექტონული საქმისწარმოების სისტემა, ყველა დოკუმენტს ინახავენ მატერიალურადაც. მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოები ინახება ერთი წლით. კათედრების მიერ მოსწავლეთა მონაცემების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული შემაჯამებელი თუ კომპლექსური დავალებების მიხედვით, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.
სკოლის მიერწარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბაზო საფეხურის კურიკულუმები;**
- **კომპლექსური დავალებები;**
- **სასწავლო აქტივობები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **მიმდინარე და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;**
- **სკოლის თვითშეფასება;**
- **კათედრის ოქმები;**
- **მასწავლებლებთან ინტერვიუები.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის სტრატეგიულ და ერთწლიან სამუშაო გეგმებში ასახულია, რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს უზრუნველყოფა, რომლის მისაღწევადაც დასახულია კონკრეტულად განსახორციელებელი გზა. შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომლებიც მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს.

ასევე, საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული აქტივობები, რომელზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, ასევე საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ფორმა, რომელიც აფასებს მასწავლებლის მხრიდან სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნის პროცესსაც, ადასტურებს, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე ზრუნავს მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე ინტერვიუს დროს გამოკვეთილი სპორტის მასწავლებლების ჯანსაღი დამოკიდებულება სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. ამასთანავე, მასწავლებლებს აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, წარმოატებული მოსწავლის მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება და ა.შ

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს, როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა, ქმნის დირექტორი, რომელიც ახალისებს მოქმედების თავისუფლებას, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და სკოლაში ნებისმიერი გამოწვევა ერთობლივი ძალისხმევით გადაილახება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სწორედ სწორედ მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო მიიჩნევა. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ახალ ცოდნას აშენებენ წინარე გამოცდილებაზე და მოსწავლეებს სთავაზობენ ამოცანებს მათთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ინტეგრირებული სწავლების დანერგვაც, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და მოსწავლეზე ორიენტირებულს გახდის სასწავლო პროცესს.

სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის მიზნით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ამავდროულად, მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

გარდა ამისა, სპორტის საგნოვრივი ექსპერტის შეფასებით, სპორტის კათედრის მიერ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეინიშნება თემების მრავალფეროვნება. კომპლექსური დავალებების შინაარსი კარგად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. გათვალისწინებული აქვთ სხვადასხვა სპორტის დისციპლინა თუ სპორტული გასართობი თამაშები, იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს, მონაწილეობენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. აღსანიშნავია ასევე, რომ სკოლის დირექცია აქტიურად მონაწილეობს შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურზე ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები (მათ შორის ციფრული რესურსები); რესურსები, რომლებსაც სკოლას სასკოლო საზოგადოების წევრები (მაგალითად, მშობლები) და გარე პარტნიორები სთავაზობენ (მაგალითად, ექსკურსიების ორგანიზება, მუზეუმებში ვიზიტი). რაც ასევე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტიერებულად წარმართვის საშუალება.

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლაში პოზიტიური კლიმატის განმაპირობებელ პროცესებს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, პასუხისმგებლობა და სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა. პედაგოგები მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ ზრდაზე, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერასა და სკოლის განვითარებაზე. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრების სხდომების თუ სამუშაო შეხვედრების ოქმებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან და დირექციასთან.

სკოლაში არსებობს მიმღებლობის მაღალი დონე და გამოცდილების გაზიარების ტრადიცია. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად, კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის და შეფასების თანამონაწილეობით პროცესს. პედაგოგები ერთად აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთობლივადვე ქმნიან მომდევნო წლის სასწავლო პროგრამებს, არჩევენ განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებებს, განიხილავენ რა ტიპის დავალებებმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება. ასევე, ერთობლივად ქმნიან და უზიარებენ ერთმანეთს სასწავლო რესურსებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლისათვის უმნიშვნელოვანესია კლასის და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში შექმნან მამოტივირებელი და პოზიტიური გარემო, რისთვისაც მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს მათი ინტერესებიდან გამომდინარე. კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს ასევე მასწავლებლების თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც მოსწავლეებისათვის არის კარგი მოდელი. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება შესამჩნევი იყო მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებსა თუ სხვა აქტივობებში.

მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს აქტივობებს არჩევენ მათი იტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, რომელიც შეიძლება იყოს ლაშქრობა ან სხვა წამახალისებელი ღონისძიება, მოსწავლეთა სურვილის მიხედვით.

საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფასა და განწყობის შენარჩუნება კარგად ახერხებენ სპორტის მასწავლებლები სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით. ხაზი უნდა გაესვას დირექციის ჩართულობასაც აღნიშნულ საკითხში, რამდენადაც დირექცია აქტიურად არის ჩართული ფესტივალების ორგანიზებასა და ჩატარებაში, რაც ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.
სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის პრიორიტეტულია პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობა სკოლის და კლასის დონეზე. მშობლების მხრიდან სწორედ ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ამ სკოლაზე აკეთებენ არჩევანს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასება;
- კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი;
- სასწავლო აქტივობათა შესრულების დროს თანამშრომლობა და უკუკავშირი;
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
სკოლაში ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების შესრულების მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების შეფასება კათედრებზე. მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას ან რაიმეს შეცვლას. შესაბამისად, იკვეთება, რომ სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუმცა ეს პროცესი მოითხოვს გაუმჯობესებას, რადგანაც მას არ აქვს სისტემური ხასიათი. აღნიშნულის გამოსასწორებლად კი პირველ რიგში უნდა შემუშავდეს ვერიფიკაციის მექანიზმი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად იგეგმება აღნიშნული პროცესების მართვა.
გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია ის, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი, **სკოლას მიეცა რჩევა, მეტად გაამახვილონ ყურადღება განმავითარებელ კომენტარზე, რომელიც განისაზღვრება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში ჩამოყალიბებული მოლოდინების მიხედვით; რომელიც შეიცავს აღწერას, მოსწავლის მიღწევას და რჩევას.**
სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება, რისთვისაც გეგმავს შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. კათედრების მიერ არჩეული იქნა სამინისტროს მიერ შეთავაზებული დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც 2023-2024 სასწავლო წლისთვის ჩატარდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რაც თავისთავად მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხადაჭერას და დახმარებას. მონიტორინგში მონაწილეობას იღებენ მშობლებიც, რომლებსაც ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები და შემდგომ თავიანთი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება ეძლევათ მშობელთა შეკრებებზე.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული მონიტორინგს სისტემა ახდენს მონაცემების აღრიცხვას და ემსახურება კურიკულუმის დანერგვის ხელშეწყობას. მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ემსახურება სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, მასწავლებლის მხარდაჭერას. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე დგინდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა კონკრეტული საჭიროებები და იგეგმება მათი მხარდაჭერა

მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა იკვლევს მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებებსაც და შედეგების გათვალისწინებით მრჩეველთა საბჭოსა და დირექტორთან ერთად გეგმავს მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგებს, სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს. უზრუნველყოფს აღნიშნულ ღონისძიებათა გეგმაზომიერ განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას და გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას. მიმდინარე პერიოდისათვის კურიკულუმის ვერიფიკაციის პრაქტიკა სპონტანურია, თუმცა მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწასა და გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას.

როგორც საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის მონიტორინგითა და შეფასებით დგინდება სკოლაში არსებული პრობლემები. გამოვლენილი პრობლემების განხილვა ხდება კათედრაზე და იგეგმება შესაბამისი ინტეერვენციები, იქნება ეს დიფერენცირებული სწავლება თუ რემედიაცია, ასევე საჭიროების შემთვევაში მუშავდება გეგმა თუ როგორ დაეხმარონ მასწავლებელს პრობლემის დაძლევაში.

სპორტის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, უმნიშვნელოვანესია პრობლემების გამოკვეთა და კორექტირება სპორტშიც, რაც მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხდება. მასწავლებლებისთვის ეფექტურია ბავშვების შედეგების მიხედვით განსაზღვრონ რამდენად წარმატებული იყო მათი პერფომანსი, მოახდინონ პრობლემის იდენტიფიკაცია და იმუშაონ მის აღმოფხვრაზე.

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასება.
- სადიაგნოსტიკო საქმიანობა
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლესა და პედაგოგს აძლევს ინფორმირების საშუალებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას და მრავალფეროვან ინსტრუმენტებს ნერგავენ პრაქტიკაში.
სასწავლო პროცესის შეფასებისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა წყაროებს. მათ შორის, გაკვეთილზე დასწრებას, შემაჯამებელი დავალებების და მოსწავლეთა სემესტრული და წლიური შეფასების ანალიზს. სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება.
საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების

მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. უმეტესწილად ეს ხორციელდება ზეპირსიტყვიერად, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით. სწავლის შედეგები განიხილება კათედრების სამუშაო შეხვედრებზე.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს სპორტშიც, რაც გამოხატულია როგორც რიცხვებით წარმოებული სტატისტიკით, ისე თვალით დანახული ტექნიკური მახასიათებლების ხარისხის განსაზღვრით. მიმდინარეობს ასევე მოსწავლეებზე დაკვირდვება რათა განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებთან შესაბამისობა.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალსწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მათ შორის მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, და რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. მოსწვლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მასწავლებლები მათ აძლევენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს. მოსწავლეთა შეფასებების ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალში, რაც მშობელს ეხმარება მიიღოს ინმფორმაცია თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ.
მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასებას ახოციელებენ მასწავლებლები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტშიც. ამისათვის პედაგოგები ახდნენ ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგს, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი.
მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ისინი საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით და ამავდროულად, გამოთქვამენ მზაობას, მეტად დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენება როგორც მოსწავლეთა შედეგები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, სემესტრული და წლიური) ასევე მასწავლებელთა ანგარიშები, რომლებიც კეთდება კათედრებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კათედრებს აქვთ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: რაოდენობრივი (ზეპირი და წერილობითი გამოკითხვა), თვისებრივი (დიალოგი, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი). ამასთან, მასწავლებლები გეგმავენ კიდევ უფრო

მრავალფეროვანი გახადონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვების მეთოდები. დაგეგმილია ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის გააქტიურება და დირექციასთან ერთად აღნიშნული პროცესის სრულყოფა.
მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მასწავლებლებსა და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდი. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან. ასევე იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. გარდა ამისა, მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლებისა და პროექტების საშუალებით, რომელშიც მაქსიმალურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.
წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

სასწავლო პროცესის შეფასებისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, იქნება ეს მეორადი მონაცემების ანალიზი, მშობელთა უკუკავშირი თუ მოსწავლეთა ფოკუსჯგუფი.
სკოლაში შეფასება რომ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამას ცხადყოფს სკოლის მიერ გამოყენებული დიფერენცირებული სწავლის მეთოდებიც, რაზე დაყრნდობითაც სკოლა ადგენს შეფასების რუბრიკებს (განმავითარებელი/განმსაზღვრელი).
სპორტის მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე იკვეთება, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებას, ასაკს, სქესს და სხვა ბუნებრივ ფაქტორებს. მათი განმარტებით, აუცილებელია წინარე გამოდილების გათვალისწინებაც.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, საბაზო საფეხურზე მოსწავლის შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მიერ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი შემუშავების პროცესშია. რამდენადაც, კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია, სკოლა გეგმავს დეტალურად გაწეროს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, პასუხისმგებლობების დელეგირების საკითხი, ვადები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია. ისინი ერთობლივად ზრუნავენ კურიკულუმების განვითარებაზე.

განიხილავენ მიღწეულ შედეგებს და საჭიროებისამებრ შეაქვთ მასში ცვლილებები. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, სისტემატურად განახორციელოს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასება, გამოვლენილი მიგნებების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

როგორც უკვე აღინიშნა, საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შედგენასა და დახვეწაზე. ისინი ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, გასული სასწავლო წლის შეფასებასა და რეკომენდაციებს.
სკოლას გააზრებული აქვს, თუ, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით უნდა გაანალიზდეს რევიზიის შედეგები. იქნება ეს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია თუ სხვა.
პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლას გააჩნია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.
მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ ყოფილა ჩართული ახალი სკოლის მოდელში, საშუალო საფეხურზე უმეტესწილად წარმოდგენილია კურიკულუმები, რომლებიც აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის სკოლის ხელთ არსებული რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საშუალო საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კომუნიკაცია გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით.
გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში კონკრეტულად არ იკითხება თუ როგორ, რა ფორმით ჩართავს სკოლა სასკოლო საზოგადოებას მის შემუშავებაში, **სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დააზუსტონ რა ფორმით ჩართავენ მშობლებს სასწავლო პროცესში. (მაგ.,კურიკულუმს სკოლის საიტზე ატვირთავენ ან/და ელექტრონული ჟურნალით გააზიარებენ ან/და კომპლექსური დავალების ბარათებს გააგზავნიან და სხვა).**
ასევე, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მშობლების ჩართულობა უფრო მეტად ვლინდება კურიკულუმის განხორციელების და არა შემუშავების პროცესში. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს დაგეგმვის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის მექანიზმები.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში უმეტესწილად ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რამდენადაც მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და მშობლების მოთხოვნები და მოტივაცია თანხვედრაშია სასწავლო მიზნებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობელთა კრებებსა და კათედრების სხდომებზე განიხილება სასკოლო კურიკულუმები და სასწავლო მიზნები, რითაც თავისთავად დასტურდება მშობლებისა და მასწავლებლების მონაწილეობა კურიკულუმის შემუშავებაში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და სამომავლოდ, გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას. გარდა ამისა, იკვეთება, რომ რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას სკოლა ითვალისინებს წინა წლის გამოცდილებას. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე იგება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმები, რომელში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიც მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარეა შერჩეული.

მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს ეფუძნება ასევე ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, რაც ზრდის სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტივობებისა და სასწავლო რესურსების შერჩევას და ასევე იმის განსაზღვრას, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შექმნაზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას და სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის შექმნაში მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას. თუმცა, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუმ გამოკვეთა, რომ ეს ფუნქციები ჯერ კიდევ დასახვეწი და გამოსაკვეთია. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. კერძოდ, კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, იდეებს, შედეგების ანალიზს, გამოკვეთენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, კურიკულუმის განვითარების ფარგლებში სახავენ სამომავლო რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზეც შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. ასევე, მასწავლებლები აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. გამოცდილების გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, რომელსაც აორგანიზებს კათედრის ხელმძღვანელი, ხოლო მუშაობის პროცესში მათ ხელს უწყობს სკოლის დირექცია.

თუმცა, სკოლას საშუალო საფეხურზე არ ჰქონდა წარმოდგენილი მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და განხორციელებული ან განსახორციელებელი პროექტების აღწერილობა. შესაბამისად, მტიცებულების არ ქონის გამო, ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა ვერ დადგინდა.

იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებამ 2.1.1.3 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ასევე, მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სასკოლო კურიკულუმების საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და სოციალური ქსელების მეშვეობით (ჯგუფებში). სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი და ა.შ. ხელმისაწვდომი და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგები ატარებენ მშობელთა კრებას, რომლის ფარგლებშიც მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას და საგნობრივი კურიკულუმის (როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილის) ძირითად საკითებს. მათ შორის, აწვდიან ინფორმაციას მომავალ კომპლექსურ დავალებებსა და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით ყველა საგანში.

სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად ერთვება სკოლის მიერ ჩატარებულ სასკოლო ფესტივალებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა აქტივობების ორგანიზებასა და განხორციელებაში.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის გაზიარების უზრუნველსაყოფად და ზოგადად, სასკოლო ცხოვრების მიმართ ინფორმირებულობის ასამაღლებად, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მშობლების ჩართულობის გააქტიურებას და მათთან კომუნიკაციის გზების გამრავალფეროვნებას.

თუმცა,გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას საშუალო საფეხურზე არ წარმოუდგენია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და განხორციელებული ან განსახორციელებელი პროექტების აღწერილობა, მტიცებულების არ ქონის გამო, ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა ვერ დადგინდა.

დაწესებულებამ 2.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და ასევე, მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასება;
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები უმეტესწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. სკოლას განხორციელებული აქვს სასწავლო აქტივობები და პროექტები. (მაგ: ლიტერატურული ღონისძიება რომანტიკოსებისა და „ცისფერყანწელთა“ შესახებ, ინსცენირებები და ინტელექტკლუბის საქმიანობა, ასევე დაგეგმილია სცენარის შექმნა აბოს თბილელის შესახებ).
წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ თითქმის ყველა საგანში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების,

შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად; ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები; კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე; უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. ამ მიმართულებით **დასახვეწია რუსული ენის კურიკულუმები. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, გადამუშავოს და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანოს რუსული ენის კურიკულუმები (კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რესურსები).**

საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საშუალებას იძლევა სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები. მასში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომელიც მოიცავს ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებს. პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შეხედულებებს, იყენებენ წამახალისებელ აქტივობებს, რათა გაიზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

უნდა აღინიშნოს, რომ **ხარვეზი ფიქსირდებოდა სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში. კერძოდ, ყველა თემასთან მიმართებით არ იყო განსაზღვრული სამიზნე ცნება, ქვეცნება და რესურსი. შესაბამისად, ყველა თემასთან მიმართებით არ მუშავდებოდა სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.**

ასევე, **გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე არ იქნა წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და განხორციელებული ან განსახორციელებელი პროექტების აღწერილობები, ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მიერ ვერ დადგინდა თავსებადობა ინდიკატორის მოთხოვნებთან.**

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით. წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლამ მათემატიკის კურიკულუმებში განსაზღვრა სამიზნე ცნება, ქვეცნება და რესურსები. ასევე, ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილ იქნა კურიკულუმები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.

ამასთან საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი ცნებები და ქვეცნებები საჭიროებს გადახედვას/ცვლილებას, რისთვისაც **სკოლას მიეცა რჩევა იხელმძღვანელოს Math.ge სკოლის ავტორიზაციისათვის დამხმარე მასალებით და კურიკულუმში წარმოდგნილი ცნებები და ქვეცნებები, რომლიც ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით არის განსაზღვრული ჩაანაცვლოს Math.ge ზე მოცმული განახლებული ვერსიით.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები უმეტესწილად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რამდენადაც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად, იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად, რაც მოსწავლეებს განუვითარებს შემოქმედებითი აზროვნების უნარს.

სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა მიხედვით, სავალდებულო თემების საშუალების, შედეგების, სამიზნე ცნებების და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა გასაუბრების დროსაც გამოხატეს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესი მომავალშიც წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად. თუმცა, გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, კომპლექსური დავალების იდეაში ასახულია კომპლექსური დავალების პირობა და ცხრილი შევსებულია არასრულად. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, სრულად შეავსოს კურიკულუმის ჩარჩო და კომპლექსური დავალების პირობა ასახოს შესაბამის ველში.**

სკოლას რჩევა მიეცა მათემატიკის საგნობრივი ექსპერტისგანაც. კონკრეტულად, სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ იქნა მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები, რომელშიც დასაზუსტებელია გრძელვადიანი მიზნები. **შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, სამიზნე ცნებების განსაზღვრისას იხელმძღვანელოს math.ge -ით.**

გარდა ამისა, სკოლას მიეცა რჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მიერაც. კერძოდ, კურიკულუმის ჩარჩოს შედგენისას, ერთმანეთისგან გამიჯნონ საკითხების ჩამონათვალი და კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, ასევე იდეა. ამასთანავე, არ გადმოიწერონ სახელმძღვანელოდან პარაგრაფების ჩამონათვალი და გამოყონ კლასტერები და ძირითადი საკითხები.

ამავდროულად, **გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას საშუალო საფეხურზე არ ჰქონდა წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და განხორციელებული ან განსახორციელებელი პროექტების აღწერილობები, მტკიცებულებების არქონის გამო, ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.1.2.2. ინდიკატორთან მიმართებით და მტკიცებულებების სახით წარმოადგინა მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგნილი საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები. სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს მასწავლებლების მიერ საგაკვთილო პროცესზე ურთიერთდასწრებას და მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის მართვის შეფასებას წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. აღნიშნული კითხვარის ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინება დავალების მიცემისას. ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლეები არ ჰყავთ, თუმცა პედაგოგები იცნობენ სწავლების დიფერენცირების პრინციპებსა და ინკლუზიურ მიდგომებს. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა იმუშაოს სსსმ მოსწავლსთანაც.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მუშავდება კომპლექსური დავალებები, რომელიც მოითხოვს მრავალფეროვან სასწავლო რესურსს. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვთ არჩევანი კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნის ნაწილში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კომპლექსური დავალებების პირობები ადაპტირებული აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის.

ინტერვიუს დროს სპორტის მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. კერძოდ, მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში. მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება გამარტივდეს ან გართულდეს დავალება, რათა მათი განვითარებისთვის ეფექტური გახდეს პროცესი. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია სპორტის კათედრის მიერ შემუშავებულ კომპლექსურ დავალებებშიც.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დანერგილი პროექტული სწავლება ავტომატურად გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლებას, რამდენადაც მოსწავლეებს დავალებები ეძლევათ მათი ინტერესებისა და შესაძლებლობის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სკოლა საშუალო საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მათ შემუშავებული აქვთ ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). ასევე წარმატებით იყენებენ მოსწავლებზე დაკვირვებას, სიტყვიერ უკუკავშირს და რეკომენდაციას.

სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ასევე ვერბალურ განმავითარებელ უკუკავშირს.
გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის კათედრასთან ინტერვიუს დროს პედაგოგმა ისაუბრა შეფასების სისტემასა და მის მნიშვნელობაზე. მან განაცხადა, რომ მასწავლებლები იწერენ და ინიშნავენ განვითარების ეტაპებს. აწარმოებენ სტატისტიკას და რიცხვებში აღწერენ ბავშების განვითარებას, რაც საბოლოო განმავითარებელ შეფასებებში თვალსაჩინოს ხდის მოსწავლის ფიზიკური განვითარების პროგრესს. შეფასება ორიენტირებულია მათი მოტივაციის ამაღლებაზე და განვითარების პოტენციალის გაზრდაზე. ასევე, მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, რაც გამოხატულია მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებში და გამოკითხვებში.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დონეების მიხედვით (მაღალი, საშუალო, დაბალი), პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, წყვილებში მუშაობის შეფასების რუბრიკა, კლასზე დაკვირვების რუბრიკა და სხვ. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში შეფასების სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები გარდაიქმნება კრიტერიუმებად. მაგ. დაკონკრეტებულია საკითხთან და ქვესაკითხთან მიმართებით და თითოეული მათგანისათვის მინიჭებულია ქულობრივი წონა.(მაგ. XI კლასის მოქალაქეობიდან წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა თემაზე „პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა“).
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის განმარტებით, მოსწავლეები პროექტული სწავლებისას ფასდებიან ზეპირი განმავითარებელი შეფასებითა და კომენტარებით, რაც ეხმარებათ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაში. შეფასებები საბოლოო ფორმას პროექტის დასასრულს მიიღებს.
შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ ორიენტირებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. მასწავლებლებთან შეხვედრით დგინდება, რომ პედაგოგები კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს; რომელმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ და ა.შ. აღნიშნულის საფუძველზე მასწავლებლები ერთად აანალიზებენ და გეგმავენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს.
მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები. სკოლას შემუშავებული აქვს

რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, მაგ., გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები, რომელიც მათ ეხმარება საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების განხორციელებაში სტანდარტის შედეგების მიხედვით მოსწავლის შედეგების ანალიზის შედეგად.

გარდა ამისა, სპორტის კათედრასთან შეხვედრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ითვალისწინებენ კომპლექსური დავალებების მიხედვით ბავშვების შედეგებს, მათ ჩართულობას, დავალების შესრულების ხარისხს. აფასებენ სხვადასხვა აქტივობების შესაბამისობას ასაკთან და მათ შესაძლებლობებთან და ახალი კურიკულუმების შემუშავება ხდება ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით. ანალიზში კარგად ჩანს ის უპირატესობები ან ნაკლოვანებები, რაც თან ახლდა სასწავლო პროცესს. მსგავსი მიდგომა, ეტაპობრივი და ორგანიზებული სწავლება უმნიშვნლოვანესია სპორტში, რადგან ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც გონებრივი, ვითარდება ეტაპოვბრივად და სჭირდება წანარე გამოცდილების ანალიზი, რამდენად წარმატებული თუ წარუმატებელი იყო მცდელობა.

დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზი იკვეთება ესთეტიკური აღზრდის საგნებშიც. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტული სწავლება (მუსიკა) გასულ წელსაც მიმდინარეობდა, კათედრის მიერ გათვალისწინებულ იქნა გასული წლის გამოცდილება მიმდინარე წლის პროექტული სწავლების დაგეგმვისას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს მშობლების მოსაზრებებსაც. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით და მათი მოსაზრება გათვალისწინებულ იქნეს სკოლის შემდგომ საქმიანობაში. ამასთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა, მშობლებთან კომუნიკაციას მიეცეს ორგანიზებული ხასიათი, მათი მოსაზრებების სისტემატიზაციის და ანალიზის საფუძველზე მოხდეს მშობლების ჩართვა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარდმოდგენილი დოკუმენტებისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე დაგეგმვისას პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანაზლიზი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო და სასწავლო აქტივობები;
- გაკვეთილზე დაკვირვება, მასწავლებლის შეფასება;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

- განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მასში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები ნაწილობრივ იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს

მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექტებთან მიმართებით. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მისი კონტექსტ-მაგალითები, მრვალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.

პედაგოგები ორიენტირებული არიან სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური დავალებებით, პროექტებით, არაფორმალური განათლებისთვის დამახასიათებელი აქტივობებით. შესრულებულია არაერთი პროექტი და სასკოლო აქტივობა.

მაგალითისათვის, სპორტის კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი თემები და კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის აქტიურად პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. აღნიშნული დავალებები მრავალფეროვანია, მოიცავს სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობასა და თეორიულ საკითხს. მასწავლებელები ზრუნავენ ბავშვების მოტივაციაზეც, რათა მათი ჩართულობა იყოს მაღალი. ჩატარებული ფესტივალები, ასევე მონაწილეობა სასკოლო შეჯიბრებებში მოსწავლეებს აძლევს მოტივაციას აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში.

მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ადასტურებს ასევე სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტი „ქართული სამოსი“, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართული საშუალო საფეხურის მოსწავლეებიც.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სენაკის შოთა მესხიას სახელობის კოლეჯთან, სადაც მოსწავლეებს არაფორმალური განათლების კუთხით შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ სხვადასხვა პროფესიას.

ამასთან, **სკოლას მიეცა რჩევა, განახორციელოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი და გამოკვეთოს თუ რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მათ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებების იდეები მოითხოვს ეტაპობრივ დამუშავებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენებას, რაც გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სკოლის პრაქტიკისა თუ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის ეტაპებზე მკაფიოა კომპლექსური დავალებების მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ სწავლა-სწავლების პროცესში

მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებია შემოტანილი. ამით მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებისას უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერული თვალსაზრისით. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას.

გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ცდილობენ სწავლების პროცესი გახადონ კონსტრუქტივისტული და წინარე ცოდნის მიზნობრივი გააქტიურება მათი პრაქტიკის ნაწილია. აღნიშნულს ადასტურებს ესთეტიკური აღზრდის კათედრასთან ინტერვიუც, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ პროექტებსა და სხვადასხვა აქტივობებზე. მათ განაცხადეს, რომ მოსწავლეებს პროექტის ფარგლებში მიეწოდებოდათ შესაბამისი მასალები და ეძლეოდათ კონსულტაციები, რომელიც წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის აგებას მოაზრებდა.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პედაგოგები აქცენტს აკეთებენ კომპლექსირი დავალებებით სწავლებაზე. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული საკვანძო შეკითხვები და მოსწავლის მიერ გაკეთებული რეფლექსია ხელს უწყობს სწავლის სწავლას. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები კი მიემართება ცოდნის კონსტრუირებას და მოსწავლეთათვის წარმოადგენს სწავლის სწავლის მაგალითს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების განხორციელება იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა; შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პროექტული ტიპის დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამომავლოდ, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე.

ინტერვიუს დროს ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ სასწავლო პროცესში მუდმივად ახალისებენ მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ცნობისმოყვარეობას. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის

ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი.

სასწავლო პროცესში სწავლის სწავლაზე აქცენტირება იკვეთება ასევე საშუალო საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის საგნებში პროექტულ სწავლებაშიც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების გათვალისწინებით დგინდება, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. წარმოდგენილ იქნა კურიკულუმები, რომლებიც შეიძლება ჩავთვალოთ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმად, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). შესაბამისად, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნული დასტურდება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა პედაგოგებთან ინტერვიუს დროს და დასტურდება ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებითაც. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ იქნა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია კომპლექსური დავალებების პირობები: მიუვალი ადგილის გაზომვა/მთის სიმაღლის დადგენა, კვლევი ჩაყატრება თემაზე „ დისტანციური სწავლის პროცესი და მოსწავლის მიერ კომპიუტერთან(ტელეფონი, პლანშეტი..) გატარებული დრო“ და სხვა, რაც მოსწავლეებისაგან მოითხოვს როგორც დეკლარატიული და პროცდურული ცოდნის გააქტიურებას, ასევე ცოდნის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ცოდნის სამივე სახეზე ხდება აპელირება შეინიშნება საშუალო საფეხურზე სახელმწიფო ენის კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილებაშიც (ინტერვიუ პერსონაჟთან, სხვადასხვა ტიპის ესე).

ასევე აღსანიშნავია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილები, რომლებიც ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. იკვეთება, რომ მოსწავლეები იღებენ თეორიულ ცოდნას, სხვადასხვა სპორტული დისციპლინის შესახებ, მათი წესებისა და შესრულების ტექნიკაზე. შემდეგი ეტაპი პრაქტიკაში გადატანაა, როდესაც მიღებული ინფორმაცია აისახება ფიზიკურ შესრულებაში. პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ღრმავდება თეორიულიც. მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა მოძრაობების გააზრებულად შესრულება, როდის რომელი ტექნიკური ელემენტი დასჭრიდებათ და რატომ. ისინი იწყებენ სიტუაციურად გადაწყვეტილებების მიღებას და ეფექტურად მოქმედებას მიზნის მისაღწევად. ამავდროულად იხვეწება ის სამივე სამიზნე ცნება, რაც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. მოსწავლეები ავითარებენ ფიზიკურ თვისებებს, ცხოვრების ჯანსაღ წესს, ორგანიზებულობასა და თვითკონტროლს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დასტურდება საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამ კატეგორიაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სასწავლო პროცესში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება ნათლად ჩანს საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში. კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები იგეგმება ისე, რომ მან ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციურ გამოყენებას. შერჩეული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ცოდნის დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები მოსწავლეთათვის უცხო არ არის. საფეხურის ფარგლებში კლასების მიხდვით აღნიშნული თემები მეორდება და რთულდება მოსწავლის შესაძლებლობების ზრდის და გამოცდილების პარალელურად. რაც შეეხება კომპლექსურ დავალებებს, ის ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ბუნბრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას აძლევს დაძლიოს არსებული გამოწვევა. მაგ. გეოგრაფიის X კლასის კომპლექსური დავალება „დაბერების პროცესი იაპონიაში“ ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ მოახდინოს სხვადასხვა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

გარდა ამისა, სპორტის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, ცალ-ცალკე ნასწავლი სხვადასხვა ტექნიკური ელემენტების გამოყენება უშუალოდ თამაშის დროს, უზრუნველყოფს ცოდნის ორგანიზებით და ურთიერთდაკავშირებით სრულყოფილად შესრულებული დავალების მიღების შესაძლებლობას. იზოლირებულად ნასწავლი მოძრაობებით, მოსწავლეები ამდიდრებენ კოორიდნაციულ უნარს, თეორიულ ცოდნასა და ფიზიკურ მონაცემებს.

საბოლოოდ ხდება მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, შედარებით რთული მოძრაობებისა და ტექნიკური ელემენტების შესრულება და ორგანიზებული მოქმედება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუების შეჯერებით დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასება;
- კომპლექსური დავალებები;
- პროექტი და აქტივობები (არაფორმალური);
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა-სწავლების პროცესი მიემართება. ქვეცნებები კი ის საყრდენი ერთეულებია, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტულ საკითხებსა და ქვესაკითხებს. პედაგოგებთან გასაუბრებითა და სასკოლო სასწავლო გეგმის გაანალიზებით დგინდება, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები, სადაც ხდება კურიკულუმებზე მუშაობა და კომპლექსური დავალებების დაგეგმვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას გამოიკვეთა, რომ ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება. პედაგოგებს აქვთ მზაობა აქტიურად გააგრძელონ მუშაობა, დაგეგმონ კომპლექსური დავალებები, რათა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მოაზრებულია სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული საკითხების ფუნქციურ კონტექსტში განხილვის საშუალებად. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ჯერ კიდევ საჭიროებს მათი მხრიდან გააზრებას. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა, გამოკვეთონ კავშირი საგნობრივ საკითხებს, ქვეცნებებსა და ცნებებს შორის.**

საზოგადოებრივი კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ იქნა კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრას არ ჰქონდა წარმოდგენილი მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და არც განხორციელებული ან განსახორციელებელი პროექტების აღწერილობა, მტიცებულების არ ქონის გამო, ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული.

სკოლამ 2.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოადგინა კურიკულუმები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტიდან მომდინარეა და არ იქნება მათთვის რთულად აღსაქმელი. სასწავლო პროცესი ცოდნის თანდათან კონსტრუირებას ეფუძნება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის. საგნობრივ კრიკულუმებში შეთავაზებული კონტექსტები და შედარების

მაგალითები, კომპლექსური დავალებების პირობები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე როლს წარმოადგენს სასწავლო მიზნის მისაღწევად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ირკვევა, რომ საშუალო კლასების მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან პროდუქტს. დავალებების განხორციელების პროცესში მოსწავლეები ვითარდებიან პიროვნულად, უვითარდებათ კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

გარდა ამისა, სპორტის საგნობრივი ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საგნობრივი კონტექსტი პირდაპირ დაკავშირებულია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, რამდენადაც მოსწავლის თვითკონტროლი და ორგანიზებულობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ცნებაა. სხვადასხვა ტიპის აქტივობა, იქნება ეს პრაქტიკული თუ თეორიული ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. გუნდურობა, შეჯიბრში მონაწილეობის დროს თავის კონტროლი, ემოციის მართვა, ურთიერთპატივისცემა სპორტის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში იგეგმება სასწავლო პროექტები და ტარდება სადამრიგებლო საათები კონკრეტულ თემებზე. მაგალითად: ბავშვთა უფლებები და მოვალეობები; პასუხისმგებლობა, ვალდებულებები, ურთიერთობები უფროსებთან და მეგობრებთან; და ა.შ.

საშუალო საფეხურზე დანერგილი პროექტული სწავლება, შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული დოკუმენტების განხილვითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მნიშვნელობა და განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საგნობრივი საკითხის დასწავლასთან ერთად, მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში, თვალს ადევნებენ მოსწავლეთა სოციალურ უნარებს, თვითრეგულირებად სწავლის პროცესს, დამოუკიდებლობას, აზროვნების პროცესს (ვარაუდის გამოთქმა, ფაქტებისა და არგუმენტების მოძიება და დასაბუთება - სამიზნე ცნებების დაუფლება).

მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და გეგმავენ პერიოდულად ცვლილებების შეტანას შეფასების რუბრიკებში. პედაგოგები ცდილობენ, რომ

შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დამატებით უნდა ითქვას, რომ როგორც ამჟამად არსებული, ასევე ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი შეფასების რუბრიკები მოითხოვს სრულყოფას ინფორმაციულობის თვალსაზრისით, ვინაიდან ისინი ვერ იძლევიან მოსწავლის მიღწევების სრულად შეფასების შესაძლებლობას, თუმცა არც საფრთხეს უქმნან მოსწავლეების მიერ გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური დავალება გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ დაგეგმილ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზნას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ამიტომ, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სკოლა ამ ეტაპზე იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რაც გულისხმობს შეფასების წარმოებას საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ კომპონენტში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების პრინციპები, ქულების გამოანგარიშებისა და, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი და ა.შ. მითითებულია თუ როგორ ხდება კლასისა და საფეხურის დაძლევა. განსაზღვრულია ასევე გამოცდის ტიპები.

საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, სიტყვიერ კომენტარს. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტებია გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვა) მოხდება შეფასება და რა შედეგი ექნება მას. ასევე მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტრიუმებს, მათ უჩნდებათ თანამონაწილეობისა და სამართლიანობის განცდა, რაც საერთო ჯამში უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გვალიდურობას, სანდოობას, ობიქტურობას, სამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, ვადებსა და პირობებს. სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის მონიტორინგი/შეფასება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრაზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარდგენაზე და განხილვაზე, თუ როგორ ხდება მოსწავლის პროგრესის დანახვა და რას ითვალსიწინებენ სამომავლოდ.

სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა შეფასების ინსტრუმენტები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. პედაგოგები ცდილობენ პრაქტიკაში დანერგონ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები, რომლებიც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა იგი საჭიროებს დახვეწას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა სწავლის შედეგების შეფასების ხარისხი. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და შენახვას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს ელექტონული საქმისწარმოების სისტემა, ყველა დოკუმენტს ინახავენ მატერიალურადაც. მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოები ინახება ერთი წლით. კათედრების მიერ მოსწავლეთა მონაცემების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული შემაჯამებელი თუ კომპლექსური დავალებების მიხედვით, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით.

სკოლის მიერწარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშუალო საფეხურის კურიკულუმები;**

- **კომპლექსური დავალებები;**
- **სასწავლო აქტივობები;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **მიმდინარე და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;**
- **სკოლის თვითშეფასება;**
- **კათედრის ოქმები;**
- **მასწავლებლებთან ინტერვიუები.**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სკოლის სტრატეგიულ და ერთწლიან სამუშაო გეგმებში ასახულია, რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს უზრუნველყოფა, რომლის მისაღწევადაც დასახულია კონკრეტულად განსახორციელებელი გზა. შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ხორციელდება საგნობრივი პროექტები, რომლებიც მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს.

ასევე, საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული აქტივობები, რომელზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა, ასევე საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ფორმა, რომელიც აფასებს მასწავლებლის მხრიდან სასწავლო პროცესში მოსწავლისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნის პროცესსაც, ადასტურებს, რომ სკოლა საშუალო საფეხურზე ზრუნავს მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ასევე ინტერვიუს დროს გამოკვეთილი სპორტის მასწავლებლების ჯანსაღი დამოკიდებულება სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კომპლექსურ დავალებებში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთათვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები ორგანიზებულია მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. ამასთანავე, მასწავლებლებს

აქვთ წახალისების სტრატეგიებიც, როგორიცაა სიტყვიერი შეფასება, წარმატებული მოსწავლის მედლითა თუ სხვა თვალსაჩინოებით დაჯილდოვება და ა.შ

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს, როგორც აუცილებელ პირობას პოზიტიური კომუნიკაციისა, ქმნის დირექტორი, რომელიც ახალისებს მოქმედების თავისუფლებას, სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობასა და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და სკოლაში ნებისმიერი გამოწვევა ერთობლივი ძალისხმევით გადაილახება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა ორიენტირებულია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სწორედ სწორედ მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემო მიიჩნევა. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. საგაკვეთილო პროცესში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ახალ ცოდნას აშენებენ წინარე გამოცდილებაზე და მოსწავლეებს სთავაზობენ ამოცანებს მათთვის ნაცნობი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ინტეგრირებული სწავლების დანერგვაც, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და მოსწავლეზე ორიენტირებულს გახდის სასწავლო პროცესს.

სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის მიზნით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. ამავდროულად, მასწავლებლები კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რადგან გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. პედაგოგები ასევე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს.

გარდა ამისა, სპორტის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, სპორტის კათედრის მიერ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეინიშნება თემების მრავალფეროვნება. კომპლექსური დავალებების შინაარსი კარგად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. გათვალისწინებული აქვთ სხვადასხვა სპორტის დისციპლინა თუ სპორტული გასართობი თამაშები, იყენებენ მოტივაციის ასამაღლებელ მეთოდებს, მონაწილეობენ სასკოლო ფესტივალებსა და ჩემპიონატებში. აღსანიშნავია ასევე, რომ სკოლის დირექცია აქტიურად მონაწილეობს შიდა სასკოლო ფესტივალების ორგანიზებასა და განხორციელებაში. ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო საფეხურზე ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები (მათ შორის ციფრული რესურსები); რესურსები, რომლებსაც სკოლას სასკოლო საზოგადოების წევრები (მაგალითად, მშობლები) და გარე პარტნიორები სთავაზობენ (მაგალითად, ექსკურსიების ორგანიზება, მუზეუმებში ვიზიტი). რაც ასევე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტიერებულად წარმართვის საშუალება.
სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

სკოლაში პოზიტიური კლიმატის განმაპირობებელ პროცესებს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის პატივისცემა, ნდობა, პასუხისმგებლობა და სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა. პედაგოგები მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ ზრდაზე, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერასა და სკოლის განვითარებაზე. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრების სხდომების თუ სამუშაო შეხვედრების ოქმებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის. მასწავლებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეებთან, კოლეგებთან და დირექციასთან.
სკოლაში არსებობს მიმღებლობის მაღალი დონე და გამოცდილების გაზიარების ტრადიცია. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც გულისხმობს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვას, უკუკავშირის მიღებას და რეკომენდაციების შემუშავებას საგაკვეთილო პროცესის გასაუმჯობესებლად, კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის და შეფასების თანამონაწილეობით პროცესს. პედაგოგები ერთად აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთობლივადვე ქმნიან მომდევნო წლის სასწავლო პროგრამებს, არჩევენ განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებებს, განიხილავენ რა ტიპის დავალებებმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება. ასევე, ერთობლივად ქმნიან და უზიარებენ ერთმანეთს სასწავლო რესურსებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლისათვის უმნიშვნელოვანესია კლასის და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის შენარჩუნება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მასწავლებლები ცდილობენ საგაკვეთილო პროცესში შექმნან მამოტივირებელი და პოზიტიური გარემო, რისთვისაც მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს მათი ინტერესებიდან გამომდინარე. კლასისა და სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს ასევე მასწავლებლების თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, რაც მოსწავლეებისათვის არის კარგი მოდელი. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება შესამჩნევი იყო მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კათედრის წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებსა თუ სხვა აქტივობებში.
მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს აქტივობებს არჩევენ მათი იტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს დამატებითი კომპლექსური დავალების თემა, დამატებითი აქტივობა, რომელიც შეიძლება იყოს ლაშქრობა ან სხვა წამახალისებელი ღონისძიება, მოსწავლეთა სურვილის მიხედვით.
საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფასა და განწყობის შენარჩუნება კარგად ახერხებენ სპორტის მასწავლებლები სხვადასხვა გასართობი თამაშებით, შეჯიბრებით, სპორტის სახეობებითა თუ სხვა აქტივობებით. ხაზი უნდა გაესვას დირექციის ჩართულობასაც აღნიშნულ საკითხში, რამდენადაც დირექცია აქტიურად არის ჩართული ფესტივალების ორგანიზებასა და ჩატარებაში, რაც ხელს უწყობს სკოლის დონეზე პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.
სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის პრიორიტეტულია პოზიტიური სასწავლო გარემოს არსებობა სკოლის და კლასის დონეზე. მშობლების მხრიდან სწორედ ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ამ სკოლაზე აკეთებენ არჩევანს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასება;
- კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი;
- სასწავლო აქტივობათა შესრულების დროს თანამშრომლობა და უკუკავშირი;
- სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლაში ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების შესრულების მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების შეფასება კათედრებზე. მასწავლებლები მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება და წარმოებული სტატისტიკა ეხმარებათ გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მოითხოვს თუ არა ის უფრო გართულებას, გამარტივებას ან რაიმეს შეცვლას. შესაბამისად, იკვეთება, რომ სკოლაში ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუმცა ეს პროცესი მოითხოვს გაუმჯობესებას, რადგანაც მას არ აქვს სისტემური ხასიათი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად იგეგმება აღნიშნული პროცესების მართვა.

გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია ის, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს შედეგი, **სკოლას მიეცა რჩევა, მეტად გაამახვილონ ყურადღება განმავითარებელ კომენტარზე, რომელიც განისაზღვრება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებაში ჩამოყალიბებული მოლოდინების მიხედვით; რომელიც შეიცავს აღწერას, მოსწავლის მიღწევას და რჩევას.**

სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება, რისთვისაც გეგმავს შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელიც პროცესების ამსახველი იქნება. კათედრების მიერ არჩეული იქნა სამინისტროს მიერ შეთავაზებული

დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც 2023-2024 სასწავლო წლისთვის ჩატარდება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, რაც თავისთავად მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების წევრების მხადაჭერას და დახმარებას. მონიტორინგში მონაწილეობას იღებენ მშობლებიც, რომლებსაც ეგზავნებათ კომპლექსური დავალების ბარათები და შემდგომ თავიანთი მოსაზრებების გამოხატვის საშუალება ეძლევათ მშობელთა შეკრებებზე.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული მონიტორინგს სისტემა ახდენს მონაცემების აღრიცხვას და ემსახურება კურიკულუმის დანერგვის ხელშეწყობას. მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანამდევია და ემსახურება სასკოლო საზოგადოების, მოსწავლის, მასწავლებლის მხარდაჭერას. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე დგინდება მოსწავლეთა, მასწავლებელთა კონკრეტული საჭიროებები და იგეგმება მათი მხარდაჭერა.

მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა იკვლევს მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებებსაც და შედეგების გათვალისწინებით მრჩეველთა საბჭოსა და დირექტორთან ერთად გეგმავს მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგებს, სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს. უზრუნველყოფს აღნიშნულ ღონისძიებათა გეგმაზომიერ განხორციელებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი ემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას და გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას. მიმდინარე პერიოდისათვის კურიკულუმის ვერიფიკაციის პრაქტიკა სპონტანურია, თუმცა მეტ-ნაკლებად უწყობს ხელს მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწასა და გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას.

როგორც საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის მონიტორინგითა და შეფასებით დგინდება სკოლაში არსებული პრობლემები. გამოვლენილი პრობლემების განხილვა ხდება კათედრაზე და იგეგმება შესაბამისი ინტეერვენციები, იქნება ეს დიფერენცირებული სწავლება თუ რემედიაცია, ასევე საჭიროების შემთვევაში მუშავდება გეგმა თუ როგორ დაეხმარონ მასწავლებელს პრობლემის დაძლევაში.

სპორტის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, უმნიშვნელოვანესია პრობლემების გამოკვეთა და კორექტირება სპორტშიც, რაც მონიტორინგისა და შეფასების შედეგად ხდება. მასწავლებლებისთვის ეფექტურია ბავშვების შედეგების მიხედვით განსაზღვრონ რამდენად წარმატებული იყო მათი პერფორმანსი, მოახდინონ პრობლემის იდენტიფიკაცია და იმუშაონ მის აღმოფხვრაზე.

სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება ესგ შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; ასევე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასება;
- სადიაგნოსტიკო საქმიანობა;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლესა და პედაგოგს აძლევს ინფორმირების საშუალებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ.

მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას და მრავალფეროვან ინსტრუმენტებს ნერგავენ პრაქტიკაში.
სასწავლო პროცესის შეფასებისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა წყაროებს. მათ შორის, გაკვეთილზე დასწრებას, შემაჯამებელი დავალებების და მოსწავლეთა სემესტრული და წლიური შეფასების ანალიზს. სკოლას ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება.
საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე. მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. უმეტესწილად ეს ხორციელდება ზეპირსიტყვიერად, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით. სწავლის შედეგები განიხილება კათედრების სამუშაო შეხვედრებზე.
წარმოდგენილი დოკუმენტებითა და პედაგოგებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს სპორტშიც, რაც გამოხატულია როგორც რიცხვებით წარმოებული სტატისტიკით, ისე თვალით დანახული ტექნიკური მახასიათებლების ხარისხის განსაზღვრით. მიმდინარეობს ასევე მოსწავლეებზე დაკვირდვება რათა განისაზღვროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებთან შესაბამისობა.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალსწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

საშუალო საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მათ შორის მოსწავლის მრავალმხრივი შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით. მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, და რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. მოსწვლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მასწავლებლები მათ აძლევენ როგორც ზეპირ, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარს. მოსწავლეთა შეფასებების ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალში, რაც მშობელს ეხმარება მიიღოს ინმფორმაცია თავისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ.
მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით შეფასებას ახოციელებენ მასწავლებლები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტშიც. ამისათვის პედაგოგები ახდნენ ყოველდღიური განვითარების ხარისხის მონიტორინგს, რაც გულისხმობს კოორდინაციული და სხვა უნარების დახვეწას და მათ გამოყენებას გაკვეთილზე. ფიზიკური განვითარების შემოწმება ხდება ძველ მონაცემებთან შედარებით. ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია ფიზიკური განვითარებაც, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი.
მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ისინი საშუალო საფეხურის მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით და ამავდროულად, გამოთქვამენ მზაობას, მეტად დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოიყენება როგორც მოსწავლეთა შედეგები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, სემესტრული და წლიური) ასევე მასწავლებელთა ანგარიშები, რომლებიც კეთდება კათედრებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კათედრებს აქვთ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: რაოდენობრივი (ზეპირი და წერილობითი გამოკითხვა), თვისებრივი (დიალოგი, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი). ამასთან, მასწავლებლები გეგმავენ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვების მეთოდები. დაგეგმილია ასევე ხარისხის მართვის ჯგუფის გააქტიურება და დირექციასთან ერთად აღნიშნული პროცესის სრულყოფა.

მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მასწავლებლებსა და სკოლას გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდი. ისინი ხშირად იყენებენ ინტერვიუს მეთოდს, როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან. ასევე იყენებენ გასული სასწავლო წლის მონაცემებს, განავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. გარდა ამისა, მონაცემების შეგროვება ხდება არაფორმალური სწავლებისა და პროექტების საშუალებით, რომელშიც მაქსიმალურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის შეფასებისთვის სკოლა იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, იქნება ეს მეორადი მონაცემების ანალიზი, მშობელთა უკუკავშირი თუ მოსწავლეთა ფოკუსჯგუფი.

სკოლაში შეფასება რომ ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამას ცხადყოფს სკოლის მიერ გამოყენებული დიფერენცირებული სწავლის მეთოდებიც, რაზე დაყრნდობითაც სკოლა ადგენს შეფასების რუბრიკებს (განმავითარებელი/განმსაზღვრელი).

სპორტის მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასების დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ფიზიკურ მომზადებას, ასაკს, სქესს და სხვა ბუნებრივ ფაქტორებს. მათი განმარტებით, აუცილებელია წინარე გამოდილების გათვალისწინებაც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა, საშუალო საფეხურზე მოსწავლის შეფასება განახორციელოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მიერ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი შემუშავების პროცესშია. რამდენადაც, კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია, სკოლა გეგმავს დეტალურად გაწეროს კურიკულუმის

განვითარების ეტაპები, პასუხისმგებლობების დელეგირების საკითხი, ვადები, მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე იკვეთება, რომ საშუალო საფეხურზე მასწავლებლებს ერთმანეთთან აქვთ აქტიური კომუნიკაცია. ისინი ერთობლივად ზრუნავენ კურიკულუმების განვითარებაზე. განიხილავენ მიღწეულ შედეგებს და საჭიროებისამებრ შეაქვთ მასში ცვლილებები. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, სისტემატურად განახორციელოს კურიკულუმის დანერგვის პროცესის შეფასება, გამოვლენილი მიგნებების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

როგორც უკვე აღინიშნა, საშუალო საფეხურზე მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შედგენასა და დახვეწაზე. ისინი ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, გასული სასწავლო წლის შეფასებასა და რეკომენდაციებს.

სკოლას გააზრებული აქვს, თუ, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით უნდა გაანალიზდეს რევიზიის შედეგები. იქნება ეს მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია თუ სხვა.

პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. შესაბამისად, **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სკოლის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

- მასწავლებლებთან ინტერვიუები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნა 170 (ას სამოცდაათი) გვერდი;
დანართი: 9 (ცხრა) გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

30.11.2023
თარიღი